6069

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
23 ივლისი
1940 წ.
№ 168 (5869)
ფასი 10 კაპ.

სოციალისტური მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა მუშას, მუშა-ქალს, ინჟინერს, ტექნიკოსსა და მოსამსახურეს

(ტრესტ „სერგოუგოლის“ სტალინის სახელობის ცენტრალნაია-ირმინოს შახტის მაღაროელთა მიმართვა)

ძვირფასო ამხანაგებო!

თვენახევრის შემდეგ ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს სახელოვან თარიღს — საყოველთაო-სახალხო სტახანოვური მოძრაობის ხუთი წლისთავს. ეს წლები ისტორიაში შევა, როგორც სოციალიზმის ძლევამოსილი მსვლელობის, უმდიდრესი ტექნიკის ათვისების საქმეში მიღწეულ მნიშვნელოვან წარმატებათა, შრომის ნაყოფიერების და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ზრდის ერთერთი უაღრესად სახელოვანი ფურცელი. წარმოიშვა სტახანოვური მოძრაობის ახალი ფორმები: მრავალი დაზგის მომსახურება, პროფესიების შეთავსება, ხოლო ჩვენ, მაღაროელებს, ამას გარდა, სანგრევში სამეულად მუშაობა გვაქვს.

ჩვენი შახტი წარმოადგენს იმის მკაფიო მაგალითს, თუ როგორ იზრდება სოციალისტური მრეწველობის წარმატებანი. 1934 წელს ჩვენ დღე-ღამეში 860 ტონა ქვანახშირს ვიღებდით, აქედან მექანიზმებით ვიღებდით მხოლოდ 420 ტონას. ამჟამად შახტი 1.650 ტონას იძლევა, მექანიკური ამოღების წილად კი 1.400 ტონა მოდის.

ქვანახშირის ამოღება იმის მეოხებით იზრდებოდა, რომ განუწყვეტლივ ხდებოდა შახტის შეიარაღება ტექნიკით და სულ უფროდაუფრო უკეთ სწარმოებდა ამ ტექნიკის გამოყენება. ამჟამად ქვანახშირის ამოღება ყველა სანგრევში სანგრევი ჟოროებით ხდება. 5 წლის წინათ შახტში 2 ელექტრომავალი იყო, ახლა კი 14 ელექტრომავალი გვაქვს. მაშინ ჩვენ სრულიად არა გვქონდა ისეთი მანქანები, როგორიც არის გადამტვირთველი მანქანები, ახლა კი შახტს აქვს 8 ასეთი მანქანა. ბევრად გაიზარდა საკომპრესორო მეურნეობის და ელექტრომეურნეობის სიმძლავრე.

განუწყვეტლივ უმჯობესდებოდა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, იზრდებოდა მშრომელთა კულტურული დონე. 1934 წელს ჩვენი შახტის მნგრეველი მუშის საშუალო ხელფასი თვეში 262 მანეთს უდრიდა, ახლა კი 795 მანეთს უდრის. შახტის დაბას ახლა ვეღარ იცნობთ. იგი მაღაროელთა ქალაქი ირმინო გახდა. აქ აშენებულია ორი სკოლა, ოთხი დიდი მაღაზია, პოლიკლინიკა, ორი საბავშვო ბაგა, სამშობიარო სახლი, სტადიონი, ფიზკულტურის სახლი, 8 კილომეტრზე გაყვანილია ტრამვაის ლიანდაგი, რომელიც ირმინოს ქალაქ სერგოსთან აკავშირებს, აშენებულია პიონერთა კლუბი, რადიოკვანძი, ხმოვანი კინო, ბევრი საუცხოო მრავალსართულიანი ქვის სახლი. გზებსა და ტროტუარებზე დაგებულია ასფალტი. გაშენებულია პარკები და სკვერები. აგებულია წყლის აუზი. და ასე, არამარტო ჩვენთან, არამედ ყველა დანარჩენ შახტებშიც, ჩვენი ქვეყნის ყველა დანარჩენ საწარმოშიც.

ამაღლდა მუშათა საწარმოო-ტექნიკური ცოდნის დონე. ამ ხუთწლედის მანძილზე ბევრი მაღაროელი გახდა ტექნიკოსი, ინჟინერი, ბევრმა, რომლებიც შახტის სასწავლო კომბინატში სწავლობდნენ, ტექნიკური განათლება მიიღო.

ახლა ჩვენ ყველანი დიდი პატრიოტული აღფრთოვანების უჩვეულო დღეებს განვიცდით. დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის შემდეგ ბოლშევიზმის უძლეველი დროშა სამუდამოდ აფრიალდა ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის მშობლიურ მიწა-წყალზე. მხოლოდ პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის ბრძნული და სამშვიდობო პოლიტიკის, ჩვენი მშობლიური წითელი არმიის ურყევი ძლიერების შედეგად განთავისუფლდნენ ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის ხალხები რუმინელი [illegible] და შეუერთდნენ სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახს.

მეორე იმპერიალისტურ ომში კაცობრიობის ნახევარზე მეტია ჩათრეული. საბჭოთა კავშირის ხალხები მშვიდობიან შრომას ეწევიან, რასაც იცავს მამაცი წითელი არმია, რომელმაც ხასანის ტბაზე, ხალხინგოლთან და განსაკუთრებით კარელიის ყელზე ცხადჰყო თავისი გაწვრთნილობა და ურყევი ძლიერება. ომის გაზრდილ საფრთხეს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, ჩვენმა ინტელიგენციამ სამუშაო დღისა და კვირის გაგრძელებით უპასუხეს, რათა ჩვენს საყვარელ წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს მეტი ტანკი, მეტი თვითმფრინავი, მეტი ზარბაზანი და გემი ჰქონდეს, რათა კიდევ უფრო მტკიცე გახდეს ჩვენი სახალხო მეურნეობა. საბჭოთა ადამიანებმა უდიდესი სიხარულით იწყეს ახლებურად მუშაობა, ვინაიდან მათ იციან, რომ მხოლოდ ძალას შეუძლია შეაჩეროს კაპიტალისტ მტაცებელთა ცდა შემოიჭრან ჩვენს სახლში და დაარღვიონ ჩვენი მშვიდობიანი შრომა.

ახლა ჩვენ მთლიანად უნდა დავტვირთოთ ჩვენი სამუშაო დრო ისე, როგორც არასოდეს არ დაგვიტვირთია, რომ შრომითი დღის მთელი 480 წუთი მაღალნაყოფიერი იყოს, რომ მთლიანად იქნას გამოყენებული საწარმოო რეზერვები. მუშაობის დამატებითი საათი და 7-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა საშუალებას აძლევს თვითეულ საწარმოს მნიშვნელოვნად გაადიდოს პროდუქციის გამოშვება, მისცეს თავის სახელმწიფოს მეტი ქვანახშირი, ლითონი, ნავთი, მანქანები და ამით კიდევ უფრო მეტად განამტკიცოს ჩვენი სამშობლოს სამეურნეო და სამხედრო ძლიერება.

ჩვენთან მაღაროში 8 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა იძლევა ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო ზრდას 211 ტონით.

როდესაც ამხანაგმა სტალინმა პარტიის XVIII ყრილობის ტრიბუნიდან ამოცანად დაგვისახა — უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში ეკონომიურად დავეწიოთ ევროპისა და ამერიკის ყველაზე მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, მაშინ მთელმა საბჭოთა ხალხმა ამის საპასუხოდ ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება და მას მესამე სტალინური ხუთწლედის სახელი უწოდა. მაშინ მუშათა თვითეული კოლექტივი, ყოველი ცალკე მშრომელი ამ შეჯიბრებაში კისრულობდა საპატიო ვალდებულებას სტახანოვური შრომით დაეჩქარებინა მსოფლიო ასპარეზზე სოციალისტური ეკონომიკის გამარჯვება კაპიტალისტურ ეკონომიკაზე.

მაშინ ჩვენ შეჯიბრება დავიწყეთ დონბასში უძველესი შახტის,—გორლოვკის შახტის „კოჩეგარკის“ კოლექტივთან. ვალდებულებანი ჩვენ ღირსეულად შევასრულეთ. გასულ წელს წარმატებითი მუშაობის შემდეგ ჩვენ ვადამდე შევასრულეთ 1940 წლის ექვსი თვის გეგმა. ახლა ყოველ დღეღამეში გადაჭარბებით სრულდება საწარმოო დავალება.

გაგრძელებულ სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შემდეგ შეჯიბრებაში ჩაბმულ კოლექტივთა და შეჯიბრების მონაწილე ყველა მუშის, ინჟინრის, ტექნიკოსისა და მოსამსახურის ვალდებულებანი მოძველდა და ცხოვრების მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ეს ვალდებულებანი უკვე არ შეეფერებიან მუშაობის ახალ პირობებს, ჩვენს ახალ ამოცანებსა და შესაძლებლობას. ახლა ჩვენს თავს უფრო გადიდებული მოთხოვნები უნდა წავუყენოთ. ჩვენ ყველამ უნდა გადავსინჯოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებანი მათი გადიდების მხრივ. ახალი სოციალისტური ხელშეკრულება უნდა ასახავდეს ჩვენს ნება-სურვილს და მისწრაფებას მივცეთ ჩვენს ქვეყანას რაც შეიძლება მეტი სამრეწველო პროდუქცია, რომ სახალხო მეურნეობა სავსებით უზრუნველყოფილ იქნას ყველაფრით, რაც მისთვის საჭიროა.

ჩვენს შახტში ჩვენ უკვე შევუდექით ამ დიდ საქმეს. ჩვენი შესაძლებლობის გამოანგარიშებამ დაგვანახვა, რომ შახტს შეუძლია 20 აგვისტოსათვის შეასრულოს 8 თვის პროგრამა, გეგმის გადაჭარბებით მოგვცეს სტახანოვური მოძრაობის ხუთი წლისთავზე 16 ათასი ტონა ქვანახშირი. შახტ „კოჩეგარკასთან“ შეჯიბრებაში ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობდით 12 დეკემბრისათვის შეგვესრულებინა წლიური პროგრამა. მაგრამ ამჟამად ჩვენ არსებითი შესწორება შეგვაქვს — წლიური გეგმის შესრულებას 20 ნოემბრისათვის ვკისრულობთ.

მაშ, ამხანაგებო, საყოველთაო-სახალხო სტახანოვური მოძრაობის ხუთი წლისთავი ჩვენს ქვეყანაში შრომის ნაყოფიერების ახალი ზრდით, სტახანოველთა და დამკვრელთა რიგების გაფართოებით აღვნიშნოთ.

მოვუწოდებთ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს, ყველა მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსს, მოსამსახურეს, განსაკუთრებით ქვანახშირის მუშაკებს, რომელთა დავალიანება ქვეყნის წინაშე ჯერ კიდევ დიდია, მიჰბაძონ ჩვენს მაგალითს და ახლავე შეუდგნენ ყველგან თავიანთ ვალდებულებათა მასობრივ გადასინჯვას, რომლებიც აკისრიათ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრებით.

წინადადება შემოგვაქვს გადავაქციოთ სტახანოვური მოძრაობის მეხუთე წლისთავი შახტების, ქარხნების, ფაბრიკებისა და თვითეული მშრომელის მიერ ამ ახალ ვალდებულებათა შესრულების პირველ საყოველთაო-სახალხო შემოწმების დღედ. საყოველთაო-სახალხო დათვალიერება აღვნიშნოთ ღირსეული საწარმოო მიღწევებით, გეგმის გადაჭარბებით დამატებით მოპოვებული ათასობით ტონა ქვანახშირით, ლითონით, კოქსით, ათასობით ახალი მანქანით, ტანკით, თვითმფრინავით, ზარბაზნით.

შეთანხმებული სტახანოვური შრომით, წარმოების დეზორგანიზატორებთან დაუნდობელი ბრძოლით კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი სამშობლო სამხედრო და სამეურნეო მხრივ. სრულიად არ გვეპარება ეჭვი იმაში, რომ ჩვენი მოწოდება მხურვალე საქმიან გამოძახილს ჰპოვებს ყველგან.

გაუმარჯოს სოციალიზმის ქვეყნის ძლევამოსილ მუშათა კლასს!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა ინტელიგენციას!

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** დიად პარტიას!

გაუმარჯოს სტახანოვური მოძრაობის მამას, ჩვენს მეგობარსა და მასწავლებელს, სსრ კავშირის სოციალისტური შრომის პირველ გმირს, მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ **სტალინს**!

ტრესტ „სერგოუგოლის“ სტალინის სახელობის ცენტრალნაია-ირმინოს შახტის ორი ათასი მაღაროელის დავალებით: **ა. სტახანოვი, მ. დიუკანოვი, დ. კონცედალოვი, მ. იგნატოვი** — სერგოს საქალაქო პარტკომის მდივანი, ორდენოსანი **კ. პეტროვი**—სტალინის სახელობის შახტის გამგე, ორდენოსანი **ბ. ოჟოგოვი** — მთავარი ინჟინერი, **ხ. ბაიბიკოვი** — პარტბიუროს მდივნის მოადგილე, **ვ. კორნეევი** — შახტის კომიტეტის თავმჯდომარე, ორდენოსანი **მ. ტკაჩენკო** — კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, სტახანოველები **მ. ხოლოდკოვი** — მებაგე, ორდენოსანი; **გ. ბორისენკო** — [illegible] ორდენოსანი; **ვ. შევჩენკო**, [illegible] **მ. ერმაკოვი**, [illegible] **ვ. მოისეევი, ვ. პონომარენკო, ს. ბურმისტროვა, მ. ანისიმოვა, ნ. პოპოვა.**

ფიზკულტურელთა პარადი წითელ მოედანზე

1940 წლის 21 ივლისს

სრულიად-საკავშირო ფიზკულტურული პარადი ტრადიციული გახდა. დედაქალაქის წითელ მოედანზე ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის მიერ წარმოგზავნილნი ყოველწლიურად ცხადჰყოფენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინაშე, ამხანაგ **სტალინის** წინაშე თავიანთ სასპორტო ოსტატობას, ფიზიკურ გამოწრთობას, მზადყოფნას დიადი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

„ჩვენი ფიზკულტურის პარადები წლითი-წლობით სულ უფროდაუფრო მხიარული, ბრწყინვალე და მდიდარია, — ამბობდა ა. მ. გორკი. — სულ უფროდაუფრო მტკიცეა ახალგაზრდობის ნაბიჯი, და უფრო მკვეთრად გამოსჭვივის მის თვალებში სიხარული იცხოვრო იმ ქვეყანაში, სადაც ასე სწრაფად და ლამაზად იზრდება სხეული, სადაც ასე ცეცხლოვნად, ძლევამოსილად იფურჩქნება მასში საბრძოლო, გმირული სული, სადაც იგი ყოველდღიურად გამოიჩენს ხოლმე თავს ხალხის გასამდიდრებლად, სამშობლოს დასაცავად მტრების წინააღმდეგ წარმოებულ მუშაობაში და თითქმის ყოველდღიურად ისახელებს თავს თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ ჩადენილი საგმირო საქმეებით“.

21 ივლისის პარადი განსაკუთრებით დიდებული იყო. იგი გადაიქცა საბჭოთა პატრიოტიზმის, **ლენინ-სტალინის** საქმისადმი ერთგულების მძლავრ დემონსტრაციად, სოციალისტური სამშობლოს ახალგაზრდა პატრიოტთა ძალის, ამტანობისა და სიმამაცის დემონსტრაციად.

ფიზკულტურელის დღეს წითელი მოედანი ვეებერთელა სტადიონად გადაიქცა. მის შუა გულში გადაშლილა მწვანე ხალიჩა, რომელზედაც თეთრი ხაზებით აღნიშნულია ფეხბურთის მოედნის საზღვრები.

ტრიბუნები სავსეა დედაქალაქის საუკეთესო ადამიანებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებით, მოსკოვის ფაბრიკებისა და ქარხნების სტახანოველებითა და დამკვრელებით, ინტელიგენციის წარმომადგენლებით, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურებით. სტუმრებს შორის არიან ლიტვისა და ლატვიის წარმომადგენლები, იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც ახლა კაპიტალისტური ჩაგვრისა და მონობისაგან განთავისუფლების უდიდეს სიხარულს განიცდიან.

პარადის მონაწილე 30 ათასი ფიზკულტურელი წითელ მოედანზე და მის ახლო მდებარე მაგისტრალებზე ეწყობა.

კრემლის სპასკის კარიდან ავტომობილით გამოდიან პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. მ. შვერნიკი, საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ა. მიხაილოვი და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვ. ვ. სნეგოვი, რომლებიც პარადს იღებენ. პარადის სარდლის, მაიორ ამხ. კუზნეცოვის თანხლებით მათ ფიზკულტურელთა კოლონებს ჩამოუარეს.

მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგი **სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, ბერია, მალენკოვი, დიმიტროვი, ტიმოშენკო, კუზნეცოვი, შკირიატოვი, კულიკი, შჩერბაკოვი, ბუდიონი, მეხლისი, შაპოშნიკოვი, ბადაევი, ბულგანინი, ვოზნესენსკი, პერვუხინი, იაროსლავსკი, პოსკრებიშევი, ნიკოლაევა, ლოზოვსკი, პრონინი, გორკინი, ვახრუშევი, მიშაკოვა** და სხვები.

ფიზკულტურელები ამხანაგ სტალინს და მის თანამებრძოლებს მქუხარე ტაშით, „ვაშას“ ხანგრძლივი ძახილით ხვდებიან. მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადთან შეხვედრით აღელვებულნი, ისინი მისკენ მიმართავენ სიყვარულითა და ერთგულებით აღსავსე თვალს. სიხარულის ოვაცია ერთი კოლონიდან მეორეში გადადის, იზრდება ვით ტალღა. ამხანაგი სტალინი ხელს მაღლა სწევს და მიესალმება შეკრებილთ. დიდხანს არა სცხრება შეძახილი სსრ კავშირის ხალხთა ენებზე.

— გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს**!

— დიდ **სტალინს** ვაშა!

პარადის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართავს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **სნეგოვი**.

ამხ. სნეგოვის სიტყვა

ამხანაგებო! დღეს საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკის და წითელი დედაქალაქის მოსკოვის ყველა ფიზკულტურელი პარტიის, მთავრობის, მთელი ქვეყნის წინაშე ცხადჰყოფს თავის უსაზღვრო ერთგულებას **ლენინ-სტალინის** საქმისადმი, საბრძოლო მზადყოფნას შრომისა და საყვარელი სამშობლოს თავდაცვისათვის.

ფიზკულტურული მოძრაობა ფართოვდება და მტკიცდება სოციალიზმის ქვეყნის ძლიერების ზრდასთან ერთად. საბჭოთა კავშირში შექმნილია შესანიშნავი პირობები ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის.

ფიზკულტურული მოძრაობის წარმატებანი მნიშვნელოვანია, მაგრამ ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. ფიზკულტურული მოძრაობა კიდევ უფრო მასობრივი უნდა გავხადოთ, ჩავაბათ ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეცადინეობაში მშრომელთა ახალი ფენები, გავაუმჯობესოთ მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის ხარისხი.

მთავრობის, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური მზრუნველობით და ყურადღებით, დიდი **სტალინის** პირადი ყურადღებით აღფრთოვანებული ფიზკულტურული ორგანიზაცია ლენინურ-სტალინურ კომკავშირთან ხელიხელ ჩაკიდებული წავა წინ ახალი წარმატებებისა და მიღწევებისაკენ.

გაუმარჯოს საბჭოთა ფიზკულტურელებს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას და მის მეთაურს ამხანაგ **მოლოტოვს**!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს ჩვენს **სტალინს! (შეძახილები: „ვაშა“, „ინტერნაციონალი“).**

○

პარადი იწყება. მოედანზე მოდიან ვაჟები და ქალიშვილები, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის წარმომადგენლები, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები. მოდიან ისინი, ვინც ადნობს ფოლადს, იღებს ქვანახშირს, აშენებს ქარხნებს, აიარაღებს წითელ არმიას პირველხარისხოვანი ტექნიკით; მოდიან ხელოვნებისა და მეცნიერების ადამიანები, მოდიან სოფლის მეურნეობის მოწინავენი.

მხარზე თოფგადებული მოდიან მოთხილამურეები — თეთრფინელებთან გმირული ბრძოლების მონაწილენი. ტრიბუნებიდან ტაშს უკრავენ სასპორტო საზოგადოებათა სახელოვან წარმომადგენლებს, რომლებმაც საქმით გვიჩვენეს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბრძოლის ველზე ფიზიკურ გამოწრთობას. მამაცმა მოთხილამურეებმა გაამართლეს პარტიისა და მთავრობის ნდობა. მათ ღირსეულად გაატარეს ძლევამოსილი დროშები გრანიტისა და რკინაბეტონის სიმაგრეებში, მტრის ცეცხლში. მოთხილამურეთა კოლონაში ცოტა როდია ორდენოსანი, რომლებსაც სიმამაცისა და გმირობისათვის საბრძოლო ჯილდო მიუღიათ.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის განსახიერებად ერთ კოლონაში მოდიან მრავა- [illegible] რელი სამშობლოს დასაცავად, მზადყოფნას გაანადგურონ ყველა მტერი ხმელეთზე, ზღვაში, ჰაერში. მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელთა შორის არიან ახალგაზრდა კარელია-ფინეთის რესპუბლიკის ფიზკულტურელები. მათ აცვიათ ნაციონალური კოსტუმები, რომლებიც ჩვენს მეხსიერებაში „კალევალის“ ამბებს აღადგენენ. სულითა და სხეულით ძლიერებმა, მათ მოედანზე მოიტანეს თავისი ხალხის სიხარული, მადლობა პარტიისა და მთავრობისადმი მე-12 მოკავშირე რესპუბლიკის შექმნისათვის. მხნედ გაისმის მათი მისალმება რუსულ და ფინურ ენაზე ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად, საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ **მოლოტოვის** პატივსაცემად.

რესპუბლიკათა დელეგაციებს წინ მიუძღვიან სპორტსმენები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს საბჭოთა კავშირს შესანიშნავი რეკორდებით, მთელს მსოფლიოში ცნობილი მიღწევებით. აღტაცებას იწვევს თავისი ღონით მეშტანგე ამბარცუმიანი, რომელსაც ცალი ხელით მიაქვს სომხეთის სს რესპუბლიკის უზარმაზარი დროშა. თურქმენეთის ბაირაღი უპყრავს რეკორდსმენს ლიახოვს. მეშტანგეები [illegible] და პოპოვი [illegible] ენაზე შესრულებული ჰიმნით მისალმებიან ხალხთა ბელადს ყირგიზელი ფიზკულტურელები. თურქმენელი სპორტსმენებს თოვლივით თეთრი ბამბით ამოუქარგავთ სამი ამაღლებული სიტყვა: — **სალამი მშობლიურ სტალინს!**

დედაქალაქის პიონერები და მოსწავლეები აღფრთოვანებული ტაშით მიესალმებიან ამხანაგ **სტალინს**. ისინი თვალს არ აშორებენ მშობლიურ სახეს და თავიანთი ნორჩი გულიდან ამონახეთქი მხურვალე მისალმების სიტყვებით მიმართავენ მას.

მოდიან სტალინის სახელობის და ლესგაფტის სახელობის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტები—იმ ორდენოსანი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, რომლებმაც საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობისათვის შესანიშნავი კადრები აღზარდეს. სტუდენტთა კოლონების თავზე ფრიალებენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის და სამხედრო-საჰაერო ძალთა დროშები; სტუდენტები მზად არიან დასდგნენ ამ დროშებქვეშ ყოველ საათს, ყოველ წამს.

საუცხოო სანახაობა გამოჩნდა, როდესაც მოედანზე პროფკავშირების სასპორტო საზოგადოებათა გიმნასტები გამოვიდნენ. მათ აქ მოიტანეს თავიანთი ოსტატობა, თავიანთი შესანიშნავი გაწვრთნა. იშვიათი სიმარდითა და შეთანხმებული მოძრაობით, გიმნასტებმა რთული ვარჯიში გვიჩვენეს, საზეიმო მარშით ჩაიარეს.

ლამაზი კოსტუმებით, ყვავილებისა და მოდელების სიუხვით გამოირჩეოდნენ კოლონები. თვითეული მათგანი გამოხატავს ასეთ აზრს: საბჭოების ქვეყნის ფიზკულტურელები პარტიისა და მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე მზად არიან დადგნენ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დასაცავად.

ფიზკულტურელები წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მძლავრი რეზერვია. ისინი არიან ყუმბარმტყორცნელები, სნაიპერები, საბრძოლო მანქანების წამყვანნი, მეკავშირეები, მეზღვაურები. ეს უპატაკეს გუშინ პარტიასა და მთავრობას, ამხანაგ **სტალინს** საკავშირო ფიზკულტურული პარადის მონაწილეებმა. პლაკატს, რომელიც ქალაქის ელექტროტრანსპორტის მუშებს მიაქვთ, აწერია: „დღეს ფიზკულტურელი — ხვალ მეომარი“. საზოგადოება „პრავდის“ სპორტსმენები ერთხელ კიდევ მოგვაგონებენ, რომ საჭიროა მშრალად შევინახოთ თოფის წამალი და მუდამ ვიყოთ მობილიზაციურ მზადყოფნაში. მათ მიაქვთ გაზეთი უზარმაზარი სათაურით: „ვიყოლიოთ მთელი ხალხი მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში“.

საზოგადოება „ლოკომოტივის“ კოლონას მოუწყვია უზარმაზარი ორთქლმავალი, რომელიც მოძრაობს და წინ მიუძღვის პლატფორმას, სადაც დადგმულია საზენიტო ზარბაზანი. საზოგადოება „ვოდნიკის“ ფიზკულტურელებს თავიანთი კოლონა მოურთავთ ილქნიანი იახტებით, რომლებშიაც ბავშვები სხედან. ამ იახტების მთელ ფლოტილიას ბოლოს ამშვენებს სამხედრო გემის მრავალმეტრიანი მოდელი. თუ საჭირო იქნება, ასეთ გემებზე გადასხდებიან წყლოსნები, რათა დაამარცხონ მტერი. საავიაციო მრეწველობის მუშებს მოაქვთ საჰაერო ხომალდების მოდელები. მძიმედ მიდის მოედანზე პროჟექტორი. მის შემდეგ საზოგადოება „ზენიტის“ ფიზკულტურელებს მიაქვთ ყუმბარების მოდელები. მაღლა ცისაკენ აშვერილია საზენიტო არტილერიის მაკეტების მრისხანე ლულები.

ახალგაზრდა ვაჟები და ქალიშვილები მოდიან ხელში მომარჯვებული შაშხანებით და ხელჩართული ბრძოლის ოსტატობის დემონსტრაციას ახდენენ.

საზოგადოების უზარმაზარი დროშით მოედანზე შემოდიან სპარტაკელები. ვეებერთელა ბურთზე, რომელიც მწვანე ხალიჩაზე ნელა მოგორავს, მოთავსებულია გამარჯვებული საზოგადოების ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც 1938 და 1939 წლებში საბჭოთა ქვეყნის პირველობა აიღო ფეხბურთში. „სსრ კავშირის თასი“ — ამ გათამაშების გარდამავალი ჯილდო — ხელში უკავია კორნილოვს — საბჭოთა კავშირის ერთერთ ფეხბურთელს.

სასპორტო გამოსვლათა მრავალსახეობით განირჩევა საზოგადოება „დინამოს“ ფიზკულტურელთა მარში. მოედანზე აღიმართება შესანიშნავი შადრევანი, რომელიც კოლონასთან ერთად მოძრაობს. გზადაგზა ურთულეს ვარჯიშებს ასრულებენ ორძელზე საზოგადოების ტანმოვარჯიშენი. დინამოელთა კოლონაში მოდიან მესაზღვრეები. ტრიბუნიდან გაისმის მისასალმებელი შეძახილები საბჭოთა საზღვრების ფხიზელი გუშაგების პატივსაცემად. დინამოელები შეჯიბრებას მართავენ ხელჩართულ ბრძოლასა და დაბრკოლებათა გადალახვაში. მათი კოლონის ბოლოში მოდიან ბედნიერი დედები, რომელთაც მხრებზე ჰყავთ მფრინავების, ტანკისტების ფორმაში გამოწყობილი ბავშვები.

ფიზკულტურელები წარმოების სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის, საბჭოთა ფაბრიკებისა და ქარხნების პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში პირველ რიგებში არიან. ღირსეულად ამაყობენ რა თავისი წარმოებით, მოედანზე მოდიან „როტ-ფრონტის“ სპორტსმენები. მათ ხელში უკავიათ ბურთულა-საკისარები. „ელექტროენერგიის ახალი მილიარდ კილოვატ საათებისათვის“, — აცხადებენ საზოგადოება „ენერგიის“ ფიზკულტურელები. მატერიის სხვადასხვა ფერის ნაჭრებით მორთულნი მოდიან მატყლის მრეწველობის მუშები. ბოსტნეულისა და კარტოფილის მაღალი მოსავლისათვის თავის ბრძოლის შესახებ მოგვაგონებენ მოსკოვის ოლქის კოლმეურნეთა ფიზკულტურელები.

საზეიმო მარში მთავრდება წითელ არმიის 2.000 ფიზკულტურელის მსვლელობით. ისინი საბრძოლო და სასპორტო ოსტატობის ბრწყინვალე შეთავსების თვალსაჩინო დემონსტრაციას ახდენენ. მათი ზუსტი და სწრაფი ნაბიჯი, მათი მზემოკიდებული, ძლიერი და კუნთიანი სხეულები, მათი უზადო სამხედრო გარეგნობა იწვევს სტუმრებისა და პარადის მონაწილე — ფიზკულტურელთა აღტაცებას. წითელი არმიის სპორტსმენებს, რომლებიც გამოსახავენ სოციალიზმის ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა სიმძლავრესა და საბრძოლო განსწავლას, ტრიბუნებიდან მიესალმებიან ხანგრძლივი და აღტაცებული ტაშით.

13 საათი და 30 წუთია. საზეიმო მარში დამთავრდა. შორს მისწყდა საბრძოლო სიმღერა.

უცებ დიდებულ სიჩუმეს არღვევს მოტოციკლის ხმაური. ახალგაზრდა მოტოციკლისტი მოჰქრის მოედანზე მინიატურული მანქანით. ის იწყებს სასპორტო ტანვარჯიშულ გამოსვლას, რომელშიც პირველი სიტყვა ეკუთვნის მოსკოვის მოწაფეებს. ასობით სიცოცხლითსავსე ბავშვები ფერადოვან ტანსაცმელში გამოწყობილნი მორბიან მოედნის მწვანე ხალიჩაზე. ტრიბუნიდან ეს ცოცხალი ყვავილნარი გეგონებათ. თამამი და მხიარული ბავშვთა ხმები ერთ აღტაცებულ მისალმებად გაისმის მშობლიური **სტალინის** პატივსაცემად, რომელმაც საბჭოთა ბავშვებს მისცა ბედნიერი ბავშვობა.

სანამ ყველა შესცქეროდა ცოცხალ ყვავილნარს, მწვანე ველზე უკვე გაჩნდა მხიარული საბავშვო პარ-

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მსუბუქი მრეწველობის საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივების დაჯილდოების შესახებ.

საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და სტახანოვური მუშაობის წარმატებით მოწყობისათვის დაჯილდოებულ იქნან შემდეგი საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივები:

ლენინის ორდენით

ლენინგრადის ფეხსაცმლის ფაბრიკა „სკოროხოდის“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1) მოსკოვის № 16 სამკერვალო ფაბრიკა „კრასნაია შვეიას“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივი.

2) ხარკოვის ტინიაკოვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივი.

3) მოსკოვის ოლქის ძაფსართავი ფაბრიკა „კრასნაია პოლიანას“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1940 წლის 20 ივლისი.

ყინულმჭრელ „ლევანევსკის“ გამოცდა

ლენინგრადი. ახალი ყინულმჭრელი „ლევანევსკი“, რომელიც ააშენა მარტის ქარხნის კოლექტივმა, გამოსაცდელად გავიდა ზღვაში. გამოცდა 10-12 დღეს გასტანს. გამოცდის შემდეგ გემი საექსპლუატაციოდ იქნება გადაცემული.



ფიზკულტურელის მეორე სრულიად-საკავშირო დღე. სურათზე: საქართველოს ფიზკულტურელები 21 ივლისს მოსკოვში გამართული ფიზკულტურელთა აღლუმის მონაწილენი.

ფიზკულტურელთა პარადი წითელ მოედანზე 1940 წლის 21 ივლისს

(დასასრული)

ვი, მსუბუქი და აჟურული მესერით შემორტყმული. მაყურებელთა თვალწინ გადაიშალა ნორჩ საბჭოთა მოქალაქეთა დასვენების სურათი. ბავშვები სეირნობენ ველოსიპედით, თამაშობენ ბურთს, ქანაობენ ხის ვეებერთელა ჟირაფის კისერზე, მოსრიალებენ, როგორც ყინულოვანი გორაკიდან, ვეებერთელა ნაცრისფერი სპილოს ხორთუმზე, პატარა ვირით დასეირნობენ. მუსიკის ხმაზე ბავშვები თავისუფალ მოძრაობას ასრულებენ. ახალგაზრდა ტანმოვარჯიშენი ასრულებენ ტანვარჯიშულ მოძრაობებს.

ჰაერში ფრიალებს ფერადფერადი საჰაერო ბუშტების მთელი მტევნები. სურათი იცვლება. ბავშვები ატარებენ გასამხედროებულ თამაშს, რომელიც ცხადჰყოფს, თუ როგორ ემზადებიან ნორჩი პატრიოტები, რომ წითელი არმიის მებრძოლები გახდნენ. გამოსვლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ფიზკულტურელები ჩაუვლიან ტრიბუნას. ამხანაგი სტალინი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები გულთბილად მიესალმებიან დიადი საბჭოთა ხალხის ბავშვებს, რომელთაც ბრწყინვალე მომავალი ეკუთვნით.

... ტრიბუნიდან მოსჩანს ლანდშაფტი, რომელიც მაყურებელს თავისი უბრალოებითა და სიმძლავრით ხიბლავს. საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან ასწლოვანი ფიჭვები და ნაძვებია. ტყიდან გამორბიან კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის ფიზკულტურელები. თავისი ხალხის სახელით ისინი მგზნებარე სალამს უძღვნიან დიდ **სტალინს**. მოედნის ცენტრში ახალგაზრდობას ფერხული გაუმართავს და ვარჯიშობს. მოულოდნელად გაისმის განგაშის ნიშანი. ფიზკულტურელები ხელს ჰკიდებენ იარაღს და შეძახილებით: „სამშობლოსათვის“, „სტალინისათვის!“ ანადგურებენ მტერს, რომელმაც ხელჰყო მძლავრი სოციალისტური სამშობლოს წმინდათა წმინდა საზღვრები. პატარა საბრძოლო ეპიზოდში, რომელიც გათამაშებულ იქნა სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში, კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის ფიზკულტურელებმა თვალსაჩინოდ ცხადჰყვეს, რომ ახალგაზრდა მოკავშირე რესპუბლიკა არის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის ჩრდილოეთ - დასავლეთ საზღვრების ერთგული გუშაგი.

ოქროსფერი თავთავებითა და თოვლივით თეთრი ბამბით გამოყვანილია ტრანსპარანტზე სიტყვა — „ყირგიზეთი“. ძლიერი, მარდი ახალგაზრდა ვაჟები და ქალიშვილები, რომელთა სამკაულია მაგარი კუნთები და მზემოკიდებული კანი, ტანვარჯიშულ მოძრაობებს ასრულებენ. სურათი სურათს სცვლის განუწყვეტლივ. მოედანს უკვე დაეუფლენ ყაზახეთის ფიზკულტურელები, რომელნიც საუკეთესო ინსცენირებას ასრულებენ. ფიზკულტურელები მიესწრაფვიან ტრიბუნისაკენ და წითელ მოედანზე გაისმის ყაზახეთის სახელგანთქმული აკინის ჯამბულის სიტყვები:

„სტალინ—შენ დიად გამარჯვებათა ოსტატი ხარ!“

მოულოდნელად ჩნდება და „ცოცხლდება“ ხორბლის ოქროსფერი ძნა. ქალიშვილები ხელში თავთავის მაგვარი გურზებით ასრულებენ ეფექტიურ ტანვარჯიშულ მოძრაობას.

... ერთი წუთით დაცალიერებულ მოედანზე მოჰქრის ოთხი მოტოციკლისტი. მათ თავზე ფრიალებს წითელი დროშები, რომლებზედაც სიყვარულით წარწერილია შემდეგი სიტყვები: „სალამი მშობლიურ დიდ **სტალინს**!“ ფერადფერადი დროშები ირხევიან მოედანზე პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებათა ფიზკულტურელების ნაკრები კოლონის გამოსვლის დროს. ათობით ტანმოვარჯიშენი ოსტატურად ასრულებენ სხვადასხვანაირ ვარჯიშებს ტანვარჯიშულ იარაღებზე. მოტოციკლისტები, საჭეზე დაბლა დაყრდნობილნი, შმაგი სისწრაფით ჩაუქროლებენ ტრიბუნას. გადის ერთი წუთი, მეორე. კვლავ გამოჩნდებიან მოტოციკლისტები. ამ გზობა თვითეულ მოტოციკლზე რამდენიმე ფიზკულტურელია, რომლებიც მოძრაობის დროს ასრულებენ რთულ აკრობატულ ვარჯიშებს.

ზედიზედ გამოდიან ტაჯიკეთის, უზბეკეთის და თურქმენეთის ფიზკულტურელთა დელეგაციები. თვითეული ამ რესპუბლიკის ღერბზე ბამბის გახსნილი პარკებია, რომლებიც გამოხატავენ მეურნეობის გაფურჩქნასა და ხალხის შეძლებულ ცხოვრებას. ბამბა არის დღესასწაულის ცენტრში მოქცეული. ტაჯიკეთის ფიზკულტურელები, აკეთებენ რა პირამიდას, ბამბის ვეებერთელა პარკს ასწევენ ზევით, როგორც მოსავლის სიმბოლოს. ტაშით ეგებებიან მოჯირითეების საბრძოლო ცეკვას, რასაც ასრულებენ თურქმენეთის ფიზკულტურელები.

ლესგაფტის სახელობის ლენინის ორდენოსან ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტები თავის გამოსვლას მიუძღვნიან შემდეგ თემას: „ლენინის ქალაქის უშიშროება უზრუნველყოფილია“. ისინი თავიანთი შესანიშნავი საბრძოლო განსწავლისა და წვრთნის დემონსტრაციას ახდენენ. ინსტიტუტის მოსწავლეებმა გვიჩვენეს, რომ ისინი შესანიშნავად ჰფლობენ ტანვარჯიშს, რაც საბჭოთა ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საფუძველია.

სომხეთის ფიზკულტურელები ტანვარჯიშობისა და აკრობატულ ვარჯიშების დემონსტრაციას ახდენენ ვენახის ფონზე. ბრწყინვალედ და მხატვრულად არის გაფორმებული საქართველოს ფიზკულტურელთა დელეგაციის გამოსვლა. ახალგაზრდობის ჯგუფს მოაქვს მაღლა აწეული ხილით სავსე ლანგარი. ლანგრის ცენტრში დგას ფიზკულტურელი, რომელიც თავისუფალ მოძრაობას ასრულებს. მოჭიდავენი ჭიდაობის ილეთების დემონსტრაციას ახდენენ. პლასტიურია და მოქნილი ფიზკულტურელთა ჯგუფური მოძრაობანი. გაბედულად და ზუსტად მუშაობენ ტანმოვარჯიშენი ღერძებზე. ისევე როგორც სხვა რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, საქართველოს სპორტსმენებმაც თავიანთი გამოსვლა დაამთავრეს ფერადოვანი ხალხური ცეკვით.

აზერბაიჯანელ ფიზკულტურელთა კოლონაზე აღმართულია ცოცხალი სკულპტურული ჯგუფი. თვალის დახამხამებაში სპორტსმენები სწრაფი მოძრაობით ჩასრიალდებიან ქვევით და ისევ გაქვავდებიან როგორც ქანდაკებანი, უზარმაზარი ნიშნის „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ ცენტრში. აზერბაიჯანის ფიზკულტურელთა გამოსვლათა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ფარიკაობამ. ნაჩვენები იყო ბრძოლა ესპადრონებით. გაისმა მქუხარე ტაში, როცა აზერბაიჯანის ფიზკულტურელებმა მოედნიდან წასვლისას ააშენეს ნავთის კოშკურა, რომლის თავში მოთავსებულ იქნა ხუთქიმიანი ვარსკვლავი ამხანაგ **სტალინის** სურათით.

...მოედანი მზესუმზირათი და ყაყაჩოებით აფერადდა, როცა დაიწყეს გამოსვლა უკრაინის ფიზკულტურელებმა. მათს შორის საყოველთაო ყურადღებას იპყრობენ მსოფლიო რეკორდსმენები — შტანგისტები კუცენკო, ხოტიმსკი, ნოვაკი და პოპოვი, შესანიშნავი გიმნასტები — დმიტრიევი და იბადულაევი. მხიარული ცეკვით დამთავრდა უკრაინელების გამოსვლა. გაერთიანებული უკრაინელი ხალხის ამ დღესასწაულში დღეს მონაწილეობას იღებენ გუცულები, რომელთა ლამაზი კოსტუმები თვალს ახარებს სისადავითა და მომხიბვლელობით.

მოედანზე გადაიშალა აყვავებული ვაშლის ბაღი. იგი თან ჩამოიტანეს ბელორუსიის ფიზკულტურელებმა. ერთ გიმნასტიკურ ვარჯიშს მეორე მოსდევს. აი ჭაბუკები და ქალიშვილები აწყობენ რამდენიმე მჭიდროდ დარაზმულ მწკრივს და უჩვენებენ მხატვრულ გიმნასტიკას. მწყობრის სხვადასხვა ნახატი გამოჰყავს. ადამიანის ახალგაზრდა, ძლიერი, მოქნილი, ნავარჯიშევი სხეული აღტაცებას იწვევს თავისი სილამაზით. ბელორუსების გამოსვლა ამგზნები „ლიავონისათი“ დამთავრდა.

მწვანე მინდორი დაიცალა. მის ორივე მხარეს მოულოდნელად გამოჩნდა ბადიანი კარები. მსაჯის სტვენა აუწყებს ფეხბურთელთა მატჩის დაწყებას სასპორტო საზოგადოება „დინამოსა“ და „ტორპედოს“ ოსტატების გუნდებს შორის. 30 წუთის განმავლობაში მაყურებელნი შეუსუსტებელი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს თამაშს, რომელიც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, თვალს არ აშორებენ ბურთს, რომელიც მინდორში კარიდან კარამდე გადადის. ორივე გუნდის თავდამსხმელები სწრაფად უტევენ. ყოველ კარს საიმედო დამცველები ჰყავს. გადის ნახევარი საათი, მატჩი დამთავრდა და არცერთი ბურთი არ შეუგდიათ ბადეში. ფეხბურთელები ჩამწკრივდნენ მავზოლეუმის პირდაპირ და ჰაერში გაისმა მისალმების შეძახილი:

— ბოლშევიკების საყვარელ პარტიას, დიდ **სტალინს** — ფიზკულტვაშა!

სასპორტო-გიმნასტიკური გამოსვლები მთავრდება. ახალგაზრდა სტალინური თაობის სიმარდისა და ძალის დღესასწაული დაამთავრეს ფიზიკური კულტურის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური ლენინის ორდენოსანი ინსტიტუტის სტუდენტებმა.

ჭაბუკები და ქალიშვილები ლამაზად გაიშალენ მწვანე მინდორში და გამოიყვანეს სსრ კავშირის ღერბი. საბჭოთა ფიზკულტურის მომავალი ოსტატები და ხელმძღვანელები საგიმნასტო იარაღებზე — ღერძებზე, ორძელზე, ტაიჭზე აჩვენებენ წვრთნასა და მაღალ სასპორტო ტექნიკურ ოსტატობას. ყურადღებას იპყრობს ხიშტით ბრძოლა, რომელიც სწრაფი ტემპით სწარმოებს.

— სამშობლოსათვის, სტალინისათვის საბრძოლველად მზადა ვართ! შესძახეს ფიზიკური კულტურის სტალინის სახელობის ინსტიტუტის სტუდენტებმა. ბრძოლის სიმღერით სტოვებენ ისინი წითელ მოედანს.

საკავშირო ფიზკულტურულ პარადში, რომელიც 4½ საათზე მეტს გაგრძელდა, მონაწილეობა მიიღო მთელი ჩვენი ქვეყნის 30.000-ზე მეტმა ფიზკულტურელმა. მათ ამ დღეს აჩვენეს საბჭოთა ახალგაზრდობის ძალა, სიმარდე, გამბედაობა და გამოწრთობა, მისი ერთგულება ბოლშევიკების დიადი პარტიისადმი, საყვარელი ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის ამხანაგ **სტალინისადმი**, მათ ცხადჰყვეს, რომ მზად არიან იბრძოლონ სოციალისტური სამშობლოს ყოველი მტრის წინააღმდეგ. (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ლ. ვ. დუბროვინა შეიყვანა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის წევრთა შემადგენლობაში. (საკდესი).

დეკლარაცია ლიტვის სეიმისა

ლიტვის სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ

მიღებულია ერთხმად 1940 წლის 21 ივლისის სხდომაზე

კაუნასი, 21 ივლისი (საკდესი). დღეს ლიტვის რესპუბლიკის სახალხო სეიმმა ერთხმად მიიღო დეკლარაცია ლიტვის სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ. დეკლარაციაში ნათქვამია:

„დანაშაულებრივმა და ხალხის ნამდვილი ინტერესებისადმი გულგრილმა სმეტონელთა რეჟიმმა ჩიხში მოამწყვდია ქვეყანა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დარგში. ლიტვის მშრომელი ხალხის საარსებო ინტერესები მსხვერპლად ეწირებოდა ერთი მუჭა მდიდრებისა და ექსპლოატატორების ანგარებას. ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ერთადერთი ხვედრი იყო უმუშევრობა, შიმშილი, გაჭირვება და ნაციონალური უთანასწორობა; მშრომელმა არ იცოდა ხვალ რა მოელოდა.

მრავალი წლის განმავლობაში ლიტველი ხალხი ამ რეაქციული რეჟიმის უღელქვეშ გმინავდა. სმეტონელთა ხროვას ჩვენი მშრომელი ნიჭიერი ხალხი უუფლებობისა და თვითნებობის მუხრუჭით ჰყავდა შებოჭილი. ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასები მოკლებული იყვნენ ელემენტარულ თავისუფლებას, მათ არ აძლევდნენ იმის უფლებას, რომ თავიანთი პოლიტიკური, პროფესიული და კულტურული ორგანიზაციები ჰქონოდათ. ყოველი თავისუფალი სიტყვა, თავისუფალი აზრი დაუყოვნებლივ და დაუნდობლად იდევნებოდა.

სმეტონელთა ნაციონალური პოლიტიკა იყო ეროვნებათა შორის შეტაკების მუდმივი პროვოცირების პოლიტიკა, ერთი ეროვნების მეორე ეროვნებაზე წასისიანების პოლიტიკა. ასეთი ეროვნული პოლიტიკა სმეტონისა და კომპანიის უზურპატორული ხელისუფლების არსებობის ერთერთი დასაყრდენი იყო. აი რატომ იყო, რომ იმ რვა თვის განმავლობაში, რაც სსრ კავშირის მიერ ლიტვისათვის ქალაქ ვილნოს და ვილნოს ოლქის გადაცემის შემდეგ გავიდა, და სანამ ხელისუფლებას სათავეში სახალხო მთავრობა ჩაუდგებოდა, ნაციონალური უთანხმოება ქალაქ ვილნოში არა თუ შენელდა, არამედ კიდევ უფრო გამწვავდა.

ლიტველი ხალხის ინტერესი მოითხოვდა საბჭოთა კავშირთან მუდმივსა და უაღრესად მჭიდრო ერთიანობასა და მეგობრობას. მაგრამ სმეტონა და მისი დამქაშები სსრ კავშირისადმი მტრულ პოლიტიკას ეწეოდნენ. ისინი ჩვენს ქვეყანას დამოკიდებულს ხდიდნენ ცალკეულ კაპიტალისტურ მტაცებელთაგან და აყენებდნენ მას ნახევრადკოლონიურ მდგომარეობაში. ამით უდიდეს ზიანს აყენებდნენ ლიტველ ხალხს და ლიტვას ამზადებდნენ, როგორც პლაცდარმს სსრ კავშირზე შესაძლო თავდასხმისათვის.

ლიტველ ხალხს აღარ შეეძლო აეტანა მმართველი ხროვის მხრით ასეთი საშინაო თვითნებობა და საგარეო - პოლიტიკური გამცემლობა. მან ერთიანი აღფრთოვანებით დაამხო საზიზღარი მთავრობა და მთელი მმართველი ზედა ფენა და ამით გზა გაუხსნა თავისუფალ არჩევნებს ნამდვილად სახალხო სეიმისას, რომელიც წარმოადგენს მშრომელი ხალხის ინტერესებს და შექმნილია მისი ხელით.

1940 წლის 14 და 15 ივლისი ლიტვის მშრომელი მასების ცხოვრების დიდი ისტორიული დღეებია. ამ დღეებმა საფუძველი ჩაუყარეს მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის კავშირს და აღინიშნენ „ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ პლატფორმის გამარჯვებით, რომელმაც მჭიდროდ დარაზმა ჩვენი ქვეყნის ყველა პატიოსანი პატრიოტი, ყველა ვისთვისაც ნამდვილად ძვირფასია ლიტველი ხალხის ინტერესები.

ამ დღეებში ლიტველმა ხალხმა გამოსთქვა თავისი ნება-სურვილი — სამუდამოდ მოუღოს ბოლო მემამულეთა და კაპიტალისტთა პოლიტიკურ ბატონობას, დაამყაროს ნამდვილად ხალხური ხელისუფლება და საკუთარი ხელით დაიწყოს ქვეყნის სახელმწიფოებრივი გარდაქმნა.

„ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ გამარჯვება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში წარმოადგენს ისტორიულ მობრუნებას, რომელიც მშრომელთათვის უზრუნველჰყოფს სამოქალაქო და პოლიტიკურ სრულუფლებიანობას და ბრწყინვალე მომავალს მათთვის და მომავალი თაობებისათვის.

სახალხო სეიმს, როგორც ლიტველი ხალხის ნება-სურვილის სუვერენულ გამომხატველს, რომელიც მოწოდებულია განამტკიცოს ამ ხალხის გამარჯვება პლუტოკრატიულ რეჟიმზე, თავის ძირითად ამოცანად და მოვალეობად მიაჩნია ახლებურად გადასწყვიტოს ის საკითხი თუ რა ხასიათის იქნება ლიტვის სახელმწიფოებრივი ხელისუფლება.

საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება არის მშრომელთა ინტერესების გამომხატველი და დამცველი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება არის ნამდვილად ხალხური ხელისუფლება, რომლის დროსაც ქვეყანას განაგებს თვითონ ხალხი უკაპიტალისტოდ და უმემამულოდ. მხოლოდ საბჭოებში პოულობს თავის განხორციელებას მუშათა და გლეხთა კავშირი.

საბჭოთა კავშირში სამუდამოდ მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. ადამიანისათვის ზრუნვა სსრ კავშირში მთელი ცხოვრების ხელმძღვანელი საწყისია. სსრ კავშირში ყველა მშრომელს უზრუნველყოფილი აქვს შრომის უფლება, დასვენების უფლება, უფასო განათლების უფლება, უფასო საექიმო დახმარების უფლება, მოხუცებულობის დროს მატერიალური უზრუნველყოფის უფლება.

საბჭოთა ხელისუფლება ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ხელისუფლებაა. კაპიტალისტური ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველა სხვა ხელისუფლება წარმოადგენს ხალხის დიდ უმეტესობაზე ერთი მუჭა ექსპლოატატორების ბატონობასა და უსაზღვრო თვითნებობას.

საბჭოების საშუალებით მთელი მშრომელი მასები თანასწორი უფლებით იღებენ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში, მთელი მშრომელი ხალხისათვის თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების შექმნაში. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება ჰქმნის იმის პირობებს, რომ ხალხის წიაღიდან გამოვიდნენ სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელები და ორგანიზატორები, იმის პირობებს, რომ გაიფურჩქნოს ხალხის ნიჭი და ტალანტი. საბჭოთა კავშირში არ არის ნაციონალური ჩაგვრა და ნაციონალური უთანასწორობა. წარსულის ეს საშინელი მემკვიდრეობა იქ სამუდამოდ მოისპო. ლიტვისათვის, სადაც ხალხის მიერ ჩამოგდებული მმართველი ხროვა წლობით აჩაღებდა ეროვნებათა შორის ბრძოლას, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ერთადერთი და უაღრესად სწორი თავდებია ნაციონალური უთანასწორობისა და თავისუფალი ნაციონალური განვითარებისა ლიტვის მოსახლე ყველა ხალხისათვის. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია უზრუნველჰყოს ჩვენთვის მშვიდობიანობა, მუშაობა და თავისუფლება და იხსნას ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასები ექსპლოატაციისა, გაჭირვებისა და უუფლებობისაგან. ამას გვასწავლის საბჭოთა კავშირის მაგალითი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას უზრუნველჰყოფს ჩვენს პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ აყვავებას.

სახალხო სეიმი, რომელიც ლიტვის თავისუფალი მშრომელი ხალხის ერთსულოვან ნება-სურვილს გამოსთქვამს, საქვეყნოდ აცხადებს, რომ ლიტვის მთელ ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

ლიტვა ცხადდება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. ამიერიდან ლიტვის სს რესპუბლიკაში მთელი ხელისუფლება ეკუთვნის ქალაქისა და სოფლის მშრომელთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით.

სახალხო სეიმს მტკიცედ სწამს, რომ ლიტვის მთელი მოსახლეობა დაირაზმება საბჭოთა ხელისუფლების გარშემო, ლიტვის კეთილდღეობის, მეურნეობისა და კულტურის აყვავების უზრუნველყოფისათვის, ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, ხალხის საქმის სრული გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს ლიტვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს** — მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს!“

დეკლარაცია ლიტვის სეიმისა

სსრ კავშირის შემადგენლობაში ლიტვის შესვლის შესახებ

მიღებულია ერთხმად 1940 წლის 21 ივლისის სხდომაზე

კაუნასი, 21 ივლისი (საკდესი). დღეს ლიტვის რესპუბლიკის სეიმმა ერთხმად მიიღო დეკლარაცია სსრ კავშირის შემადგენლობაში ლიტვის რესპუბლიკის შესვლის შესახებ. დეკლარაციაში ნათქვამია:

„ლიტვის ხალხმა, რომელსაც დაუზოგავად სჩაგრავდნენ ექსპლოატატორები, რომელიც განიცდიდა ძარცვასა და ძალადობას, რომელსაც მოელოდა სიღატაკე და გადაშენება, დაამყარა ლიტვაში ახალი სახელმწიფო წესწყობილება, წესწყობილება, როდესაც ხალხი სრულუფლებიანი ბატონ-პატრონია თავისი ქვეყნისა. ეს წესწყობილება საბჭოთა წესწყობილებაა. ლიტვა გარდაქმნილია საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

ლიტველი მუშები და მშრომელი ინტელიგენცია მრავალი წლების განმავლობაში უმუშევრობისაგან იტანჯებოდა, სიღატაკესა და უუფლებობაში ცხოვრობდა.

ლიტვის გლეხობას სული ეხუთებოდა, რადგან არ გააჩნდა მიწა ან მცირე მიწის პატრონი იყო, რადგან მიწის უმეტესი ნაწილი ხელში ჩაეგდოთ მემამულეებს და მიწის სხვა მსხვილ მესაკუთრეებს.

ძველ ლიტვაში კარგი ცხოვრება ჰქონდათ მხოლოდ ექსპლოატატორებს — მეწარმეებს, მეფაბრიკეებს, ბანკირებს, მემამულეებს, უმაღლეს მოხელეებს, რომლებიც დიდი მოგების და შემოსავლის სურვილით იყვნენ გატაცებულნი და იმონებდნენ ლიტვის მშრომელებს. სმეტონის მეძრთამე მმართველები ლიტვაში ნერგავდნენ უცხოეთის კაპიტალს, რომელიც გაუმაძღრად სძარცვავდა, მტაცებლური ბრჭყალებით ჰგლეჯდა და აწამებდა ლიტვის ხალხის სხეულს. სულ უფროდაუფრო იზრდებოდა ლიტვის ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულება იმპერიალისტურ მტაცებლებისაგან, უცხოეთის კაპიტალისტებისა და ბანკირებისაგან.

ახლა ხალხმა მძლავრი წითელი არმიის დახმარებით მოიხსნა სმეტონელ დამმონებელთა უღელი და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა თავის სახელმწიფოში. არსებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები არიან არა განკერძოებული, ერთმანეთის მოწყვეტილი სახელმწიფოები, არამედ ერთ განუყრელ კავშირს შეადგენენ. ისინი შედიან ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე შექმნილ თანასწორუფლებიან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში. ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების თანამშრომლობამ მოუტანა მათ სწრაფი აყვავება, მათი ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი აღმავლობა. ისინი ისტორიულად მოკლე ვადაში პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მხრივ მოწინავე რესპუბლიკებად გადაიქცნენ. ვერც ერთი ეს რესპუბლიკა ვერასოდეს ვერ მიაღწევდა ამას, ცალკე რომ ყოფილიყო.

ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ მხოლოდ გაერთიანებულ საბჭოთა რესპუბლიკებს შეუძლიათ წინააღუდგნენ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბრძოლას, რასაც ისინი აწარმოებენ მცირე ეროვნებათა დასამორჩილებლად და დასაპყრობად. საბჭოთა რესპუბლიკებს სახელმწიფო კავშირი რომ არ შეექმნათ, ერთ სამხედრო-სამეურნეო ძალად რომ არ დარაზმულიყვნენ, ისინი ვერ შეებრძოლებოდნენ მსოფლიო კაპიტალიზმის გაერთიანებულ ძალებს ვერც სამხედრო და ვერც სამეურნეო ფრონტზე.

ლიტვის ხალხმა იცის, რომ საბჭოთა კავშირი მთელი ამ წლების განმავლობაში უაღრესად მეგობრულ პოლიტიკას აწარმოებდა მის მიმართ. თუ პანების პოლონეთმა ლიტვა არ დაიპყრო, თუ ლიტვას დაუბრუნეს მისი ძველი დედაქალაქი — ვილნო, თუ ლიტვა ომის მძვინვარე ხანძრის გარეშე დარჩა, თუ ლიტვის ხალხმა მემამულეთა და კაპიტალისტების უღელი მოიხსნა და საშუალება მიიღო დაემყარებინა თავის ქვეყანაში ერთად ერთი სამართლიანი სახელმწიფო წესწყობილება — საბჭოთა ხელისუფლება, ყოველივე ეს საბჭოთა კავშირის წყალობით მოხდა. აი ამიტომ იყო, რომ ლიტველი ხალხი თავის საუკეთესო მომავალს მუდამ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან მჭიდრო დაახლოებაში ხედავდა.

ლიტვის ყოფილ მმართველთა დანაშაულებრივი რეაქციული ხროვა ყოველგვარი საშუალებით უშლიდა ხელს სსრ კავშირისა და ლიტვის ძმურ დაახლოებას, ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა სსრ კავშირისა და ლიტვის მტკიცე, ურღვევი კავშირის დამყარებისათვის.

ახლა ლიტველმა ხალხმა, რომელმაც ჩაგვრასა და უუფლებობას ბოლო მოუღო და ახალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესწყობილება დაამყარა, საკანონმდებლო წესით უნდა განამტკიცოს ლიტვის რესპუბლიკის მჭიდრო კავშირი და მეგობრობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან.

ლიტვის სახალხო სეიმი დარწმუნებულია, რომ ლიტვის სახელმწიფოს ნამდვილ სუვერენიტეტს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნამდვილ აღმავლობას, ნაციონალური კულტურის ნამდვილ აყვავებას, ხალხის მატერიალური და სულიერი ძალების ნამდვილ განვითარებას უზრუნველჰყოფს მხოლოდ ლიტვის შესვლა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის შემადგენლობაში.

ასრულებს რა ნება-სურვილს ხალხისას, რომელმაც დაამხო ძველი რეჟიმი — ჩაგვრისა და უუფლებობის რეჟიმი, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის რეჟიმი, — სახალხო სეიმი ადგენს:

ეთხოვოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს მიიღოს ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, როგორც მოკავშირე რესპუბლიკა, იმავე საფუძველზე, რა საფუძველზედაც სსრ კავშირში შედიან უკრაინის, ბელორუსიისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკები.

გაუმარჯოს ლიტვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიად კავშირს!“

ტალინის მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი

ტალინი, 21 ივლისი (საკდესი). დღეს, საღამოს, სტადიონზე შესდგა ტალინის მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სახელმწიფო სათათბიროს გახსნას. სახელმწიფო სათათბირო მიტინგზე გამოსულ დეპუტატებს ე. კადაკასს, დოქტორ ვ. ხიონს, ვ. იანუსს მშრომელნი მხურვალედ შეეგებნენ.

ვირუმაას საარჩევნო ოლქის დეპუტატმა ვ. იანუსმა მიტინგზე განაცხადა, რომ დღევანდელი დღიდან ესტონეთში მყარდება ახალი სახელმწიფო ხელისუფლება — საბჭოების ხელისუფლება. ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ იმას, რომ ესტონეთი, აგრეთვე ლატვია და ლიტვა კაპიტალისტური უღლისაგან გაათავისუფლა დიდი საბჭოთა კავშირის გმირმა წითელმა არმიამ. ჩვენ ახლა სიამაყით ვამბობთ, რომ წითელი არმია არის არა არმია ჩვენი მეზობლისა, არამედ ჩვენი მშობლიური არმია. იგი ჩვენ დაგვიცავს, როგორც თავის მშობლიურ ხალხს.

გაუმარჯოს ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას—დიდი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ მამას **სტალინს**! დიდხანს ჰქუხს მოზეიმე ხალხის აღტაცებული ოვაცია სტადიონზე. გაისმის მისალმებანი დიდი **სტალინის**, ძლიერი საბჭოთა კავშირის პატივსაცემად.

დეკლარაცია ლატვიის სეიმისა

ლატვიის სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ

მიღებულია ერთხმად 1940 წლის 21 ივლისის სხდომაზე

რიგა, 21 ივლისი (საკდესი). დღეს ლატვიის სეიმის სხდომაზე ერთხმად დაამტკიცეს შემდეგი დეკლარაცია ლატვიის სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ:

„მრავალი წლის განმავლობაში ლატვიელი ხალხი იტანჯებოდა იმ რეაქციული რეჟიმის მძიმე უღელქვეშ, რომელმაც ლატვია ჩიხში მოამწყვდია როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დარგში. უმუშევრობა, შიმშილი და სიღატაკე ლატვიის ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ერთადერთი ხვედრი იყო. ლატვიელი მშრომელი ხალხის კანონიერი ინტერესები და საჭიროება მსხვერპლად ეწირებოდა იმ ერთ მუჭა ექსპლოატატორ-კაპიტალისტთა და მსხვილ მიწათმფლობელთა ანგარებიან ინტერესებს, რომელნიც ლატვიას განაგებდნენ. მატყუარა და ფლიდი მმართველი ხროვა ყველა მოქალაქის თანასწორობაზე, თავისუფლებაზე და სამართლიანობაზე ლაპარაკობდა, ნამდვილად კი ხალხი თვითნებობის მსხვერპლად ჰყავდა გადაქცეული. ლატვიის სახელმწიფო ხალხთა საპყრობილე იყო. ლატვიაში შოვინიზმი და ნაციონალური უთანასწორობა სუფევდა. მშრომელი მასები მოკლებული იყვნენ თავიანთ პოლიტიკურ, პროფკავშირულ და კულტურულ ორგანიზაციებს. დაუნდობლად ახშობდნენ თავისუფალ სიტყვასა და თავისუფალ აზრს.

მტრული და დამღუპველი იყო ლატვიელი ხალხისათვის ძველი მთავრობის საგარეო პოლიტიკა. მაშინ, როდესაც ლატვიელი ხალხის საარსებო ინტერესები საბჭოთა კავშირთან მეგობრობასა და მჭიდრო კავშირს მოითხოვდნენ, მმართველი ხროვა ხალხის საზიანოდ მტრულ პოლიტიკას ეწეოდა სსრ კავშირის მიმართ და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას იმ თავდასხმის პლაცდარმად ხდიდა, რომელიც სსრ კავშირის წინააღმდეგ მზადდებოდა.

ომის პროვოკატორები, რომლებიც ხელისუფლების სათავეში იდგნენ, ჩვენი ხალხის თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით ვაჭრობდნენ და პირდაპირ საფრთხეს უქმნიდნენ ლატვიის უშიშროებას, მშვიდობიანობას და ხელშეუხებლობას. ლატვიის ხალხმა განდევნა საძულველი მთავრობა და შექმნა ახალი მთავრობა, რომელიც მშრომელი ხალხის ინტერესებს შეეფერება.

სეიმის არჩევნები, რაც 14 და 15 ივლისს ჩატარდა, მუშათა კლასის, გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის კავშირის გამარჯვებას წარმოადგენდა. „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ პლატფორმამ გააერთიანა ლატვიის ხალხის დიდი უმრავლესობა, ჩვენი სამშობლოს ყველა პატიოსანი პატრიოტი. „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ საარჩევნო გამარჯვება მოასწავებს ლატვიის ცხოვრებაში მომხდარ ისტორიულ შემობრუნებას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ლატვიის ხალხმა გამოსთქვა თავისი ნება-სურვილი სამუდამოდ მოუღოს ბოლო ექსპლოატატორთა პოლიტიკურ ბატონობას, საკუთარ ხელში აიღოს თავისი ქვეყნის ბედი და დაამყაროს ნამდვილი ხალხური ხელისუფლება.

ახალმა სეიმმა, როგორც ლატვიის ხალხის ნება-სურვილის ერთადერთმა სრულუფლებიანმა გამომხატველმა, საკანონმდებლო წესით განამტკიცა მშრომელი ხალხის გამარჯვება, და მან თავის ძირითად მოვალეობად მიაჩნია გადასჭრას ლატვიის სახელმწიფო ხელისუფლების ხასიათის საკითხი. როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ხასიათის საკითხს ვწყვეტთ, ჩვენი თვალი მიპყრობილია საბჭოთა კავშირის ჩვენდამი მეგობრულად განწყობილი ხალხების ისტორიული გამოცდილებისა და დიადი მაგალითისაკენ. საბჭოთა კავშირის ხალხების დიადი ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს მშრომელთა ინტერესების ნამდვილ გამომხატველსა და დამცველს, ნამდვილ ხალხურ ხელისუფლებას, რომლის დროსაც ქვეყანას თვით ხალხი განაგებს უმემამულეებოდ და უკაპიტალისტებოდ. როგორც კაპიტალისტური ქვეყნების გამოცდილება, ისე ბურჟუაზიულ ლატვიაში ჩვენი ცხოვრების მწარე გამოცდილება, გვიჩვენებს, რომ ყოველგვარი სხვა ხელისუფლება წარმოადგენს ერთი მუჭა ექსპლოატატორების აშკარა ბატონობას, ან ისეთ ბატონობას, რაც ხალხის მოსატყუებლად, თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგით არის დაფარული, მათს უსაზღვრო თვითნებობას ხალხის დიდი უმრავლესობის მიმართ.

სსრ კავშირში სამუდამოდ მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. სსრ კავშირში თვითეული მშრომელისათვის უზრუნველყოფილია შრომის უფლება, დასვენების უფლება, განათლების უფლება, მოხუცებულობის დროს მატერიალური უზრუნველყოფის უფლება. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებაა ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც მშრომელი ხალხისათვის უზრუნველჰყოფს ნამდვილ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, თავისი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების შექმნაში. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებაა ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც მშრომელი ხალხისათვის უზრუნველჰყოფს ნამდვილ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, თავისი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების შექმნაში. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება ჰქმნის პირობებს ხალხის ტალანტების გაფურჩქნისათვის, იმის პირობებს, რომ ხალხისაგან დაწინაურებულ იქნან სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგების ხელმძღვანელები და ორგანიზატორები. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში სამუდამოდ მოსპობილია ნაციონალური ჩაგვრა და ნაციონალური უთანასწორობა. სსრ კავშირის ყველა ხალხი ერთიან მეგობრულ ოჯახად შეერთდა. სსრ კავშირში უმაგალითო ძალით იფურჩქნება ყველა ხალხის ნაციონალური კულტურა.

საბჭოთა კავშირის მაგალითი გვიჩვენებს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია უზრუნველჰყოს ლატვიის ქალაქისა და სოფლის მშრომელთათვის მშვიდობიანობა, სამუშაო, პური და თავისუფლება, იხსნას ხალხი ექსპლოატაციისა, გაჭირვებისა და უუფლებობისაგან. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება უზრუნველჰყოფს ჩვენს პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ აყვავებას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია უზრუნველჰყოს და ნამდვილად სავსებით უზრუნველჰყოფს კიდევაც ლატვიის თავისუფალ ნაციონალურ განვითარებას, ლატვიის ნაციონალური კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მძლავრ აღმავლობასა და აყვავებას, ლატვიის ხალხის მთელი შემოქმედებითი ძალების თავისუფალ და მძლავრ განვითარებას.

გამოხატავს რა ლატვიის მთელი თავისუფალი მშრომელი ხალხის ნება-სურვილს, სეიმი საჯაროდ აცხადებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ლატვიის მთელ ტერიტორიაზე. ლატვია საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად ცხადდება. ამიერიდან ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მთელი ძალა-უფლება ეკუთვნის ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით.

სეიმი სავსებით დარწმუნებულია, რომ ლატვიის მთელი მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლების გარშემო დაირაზმება სახალხო საქმის სრული გამარჯვებისათვის, ლატვიის კეთილდღეობის, მისი მეურნეობისა და კულტურის აყვავებისათვის, ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

გაუმარჯოს ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს!“

200-ათასიანი სახალხო დემონსტრაცია რიგაში

რიგა, 21 ივლისი (საკდესი). სეიმის სხდომის დამთავრების მოლოდინში საღამოს ექვსი საათიდან ვოლდემარის ქუჩაზე და კალპაკის ბულვარში თავი მოიყარეს დიდძალმა მშრომელებმა. ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო ოვაციები სეიმის სხდომის დარბაზში, სეიმისა, რომელმაც გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება ლატვიაში, რომ მქუხარე აღტაცებამ მოიცვა ქუჩაში თავმოყრილი ხალხი. დემონსტრანტებმა დროშებით, სსრ კავშირის ბელადთა პორტრეტებით, ლოზუნგებით, რომლებიც მიესალმებიან საბჭოთა ხელისუფლებას, მისალმებებით სსრ კავშირისადმი ლატვიის შეერთების გამო გაავსეს დედაქალაქის ქუჩები. საწარმოთა მუშები, სოფლებიდან ჩამოსული გლეხები, ლატვიის სახალხო არმიისა და სახალხო მილიციის მებრძოლნი კოლონებად ჩაუვლიან ტრიბუნას, სადაც იმყოფებიან სეიმის დეპუტატები. დემონსტრანტები აღტაცებული ოვაციით მიესალმებიან თავიანთ არჩეულთ. შემდეგ დემონსტრანტებმა ჩაუარეს სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას. დემონსტრანტებს მიესალმა სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. დერევიანსკი. მშრომელები მის მისალმებას უპასუხებდნენ ოვაციით სსრ კავშირის პატივსაცემად. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს**!“, „გადაეცით მხურვალე სალამი ამხანაგ **სტალინს**!“ დემონსტრაცია გრძელდებოდა საღამოს 7 საათსა და 30 წუთიდან 11 საათსა და 30 წუთამდე. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 200.000-მდე მშრომელმა. როცა დემონსტრაცია დამთავრდა, ხალხი, სიხარულით განიცდიდა რა თავისი ცხოვრების ბედნიერ წუთებს კიდევ დიდხანს არ დაშლილა.

კირხენშტეინსი—ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის ამსრულებელი

რიგა, 21 ივლისი (საკდესი). მინისტრთა კაბინეტმა მიიღო ცვლილება კანონისათვის სახელმწიფოს პრეზიდენტის თანამდებობის ასრულების შესახებ. ამ კანონის შეცვლილი მუხლი 1-ლი ამიერიდან ამბობს: „1940 წლის 14 და 15 ივლისს არჩეული სეიმის მოწვევის მომენტიდან—1940 წლის 21 ივლისის დღის 12 საათიდან — სახელმწიფოს პრეზიდენტის თანამდებობას ასრულებს პრემიერ - მინისტრი“. ამ კანონის თანახმად სახელმწიფოს პრეზიდენტის თანამდებობას 21 ივლისიდან შეასრულებს პრემიერ-მინისტრი კირხენშტეინსი.

მთავრობის გადაწყვეტილებას ლატვიელი ხალხი მხურვალედ გამოეხმაურა. კირხენშტეინსის სახელზე მოდის მრავალი მისალმებელი დეპეშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკლარაცია ლატვიის სეიმისა

სსრ კავშირის შემადგენლობაში ლატვიის შესვლის შესახებ

მიღებულია ერთხმად 1940 წლის 21 ივლისის სხდომაზე

რიგა, 21 ივლისი (საკდესი). ლატვიის სეიმმა ერთხმად მიიღო დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში ლატვიის შესვლის შესახებ. დეკლარაციაში ნათქვამია:

„მრავალი წლის განმავლობაში ლატვიის ხალხი ექსპლოატატორთა უღელქვეშ გმინავდა, მას სძარცვავდნენ და იმონებდნენ, სილატაკესა და გადაშენებას უმზადებდნენ. ლატვიის მუშებისა და მშრომელი ინტელიგენციის ხვედრი იყო უმუშევრობა და შიმშილით სიკვდილი. ლატვიის თითქმის ყველა გლეხი იტანჯებოდა უმიწობისა და მცირემიწიანობის გამო, ვინაიდან მთელი მიწა, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ხელში ჩაიგდეს შავმა და რუხმა ბარონებმა და მიწის სხვა დიდმა მესაკუთრეებმა. ლატვია წლითი-წლობით სულ უფროდაუფრო ჩანაგდებოდა. მისი მეურნეობა ინგრეოდა და საწარმოო ძალები ილუპებოდა. მოსახლეობის ზრდა თანდათან კლებულობდა. ნაციონალური შემოსავალი სულ უფროდაუფრო ეცემოდა, ნაციონალური ვალი სულ უფროდაუფრო იზრდებოდა. ამასთან ერთად სულ უფროდაუფრო მატულობდა ლატვიის ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულობა იმპერიალისტური მტაცებლებისაგან, უცხოელ კაპიტალისტებისა და ბანკირებისაგან, რაც ლატვიისათვის დამღუპველი იყო. ძველმა პლუტოკრატიულმა მთავრობამ თავისი ანტიხალხური პოლიტიკით დაღუპვის კარამდე მიიყვანა ლატვია. იმ რეაქციული ხროვის დანაშაულებრივი, გამცემლური პოლიტიკის შედეგად, რომელიც წინათ ხელისუფლებას ედგა სათავეში, ლატვიას ემუქრებოდა იმპერიალისტთა ნადავლად გადაქცევის საფრთხე. ლატვიის ყოფილ მმართველთა დანაშაულებრივი ხროვა ხელოვნური ღონისძიებებით ცდილობდა გაემიჯნა ლატვიის ხალხი სსრ კავშირის ხალხებისაგან, ცდილობდა ყოველნაირად შეეშალა ხელი ჩვენი და საბჭოთა ხალხების ძმური დაახლოებისათვის, ხელი შეეშალა ჩვენს დიდ მეზობელთან, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უძლეველ კავშირთან მეგობრობისა და მტკიცე ურღვევი კავშირისათვის.

ძველი მთავრობა ცდილობდა ჩაეშალა ლატვიასა და სსრ კავშირს შორის 1939 წლის 5 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ. ძველმა მთავრობამ მუხანათურად დაარღვია ეს ხელშეკრულება, მოღალატურად ცდილობდა დაეყენებინა ჩვენი ქვეყანა ომისა და დაღუპვის გზაზე. ხალხთა მეგობრობის ნაცვლად, რეაქციული ხროვა, რომელიც წინათ ხელისუფლების სათავეში იდგა ჩვენს სახელმწიფოში, ყოველნაირად აღვივებდა და პროვოკაციულად იწვევდა ეროვნულ შუღლსა და კაცთმოძულე შოვინიზმს.

ახლა, როცა ლატვიის ხალხმა დაამხო ძველი რეჟიმი, ჩაგვრისა და უუფლებობის რეჟიმი, და ახალი ცხოვრების, ახალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მშენებლობის ფართო და ნათელ გზაზე გამოვიდა, დადგა დიადი ისტორიული საათი, როცა საბოლოოდ და სამუდამოდ უნდა იქნას მოსპობილი ყველა დაბრკოლება ლატვიასა და სსრ კავშირს შორის, როცა საკანონმდებლო გზით განმტკიცებული უნდა იქნას მტკიცე კავშირი და მეგობრობა ლატვიის რესპუბლიკისა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირთან. ლატვიის სახალხო სეიმი, რომელიც ახლა შეიკრიბა, დარწმუნებულია, რომ მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში შესვლა უზრუნველჰყოფს ჩვენი სახელმწიფოს ჭეშმარიტ სუვერენიტეტს, ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჩვენი ნაციონალური კულტურის ნამდვილ გაფურჩქვნას, ლატვიის ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ბრწყინვალე და მძლავრ აღმავლობას, ჩვენი საყვარელი სამშობლოს მძლავრ განვითარებასა და აყვავებას.

ჩვენი ხალხი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის მოძმე ხალხებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მრავლის უმრავლესი წლების მანძილზე წარმოებული რევოლუციური ბრძოლით ცარიზმის, კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ, რომლებიც რუს და ლატვიელ მუშებსა და გლეხებს სჩაგრავდნენ.

დადგა ჟამი, როცა ეს კავშირი სამუდამოდ უნდა განმტკიცდეს. ლატვიის ხალხი, შევა რა სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერ ხალხთა ძმურ და დიად ოჯახში, მთელ თავის მდიდარ შემოქმედებითს ძალებს გაშლის და საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ხელიხელჩაკიდებული წავა წინ, ახალი ცხოვრების მშენებლობის გზით. ლატვიის ხალხი მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში შესძლებს განიკურნოს ის ჭრილობები, რომლებიც მიყენებული აქვს მას მონობის მრავალი წლების მანძილზე. ლატვიის ხალხი მხოლოდ თავისი დიადი მეგობრის, საბჭოთა კავშირის დახმარებით და როგორც თანასწორუფლებიანი წევრი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახისა შესძლებს აღადგინოს თავისი მეურნეობა, განავითაროს თავისი ნაციონალური კულტურა, უზრუნველჰყოს ნაციონალური თანასწორუფლებიანობა, უზრუნველჰყოს მშვიდობიანობა, პური და ჭეშმარიტი თავისუფლება ლატვიის მშრომელთათვის.

ხელმძღვანელობს რა ლატვიის ხალხის ერთსულოვნად გამოხატული ნება-სურვილით, სეიმი ადგენს:

ეთხოვოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს მიიღოს ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, როგორც მოკავშირე რესპუბლიკა, იმავე საფუძველზე, რომელზედაც შედიან საბჭოთა კავშირში უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და სხვა მოკავშირე სოციალისტური რესპუბლიკები.

გაუმარჯოს საბჭოთა ლატვიას!

გაუმარჯოს დიად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!“.

დეკლარაცია ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროსი

— ესტონეთის სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ

მიღებულია ერთხმად 1940 წლის 21 ივლისის სხდომაზე

ტალინი, 21 ივლისი (საკდესი). ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროს 21 ივლისის საღამოს სხდომაზე ერთხმად მიღებულ იქნა დეკლარაცია ესტონეთის სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ. დეკლარაციაში ნათქვამია:

„მრავალი წლის განმავლობაში ესტონელი ხალხი იტანჯებოდა რეაქციული რეჟიმის მძიმე უღელქვეშ, რეჟიმისა, რომელმაც ქვეყანა ჩიხში მოამწყვდია როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დარგში. ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ერთადერთი ხვედრი იყო უმუშევრობა, შიმშილი, გასაჭირი და ნაციონალური უთანასწორობა. ესტონელი მშრომელი ხალხის კანონიერი ინტერესები და საჭიროება მსხვერპლად ეწირებოდა იმ ერთ მუჭა ექსპლოატატორ-კაპიტალისტთა და მსხვილ მიწათმფლობელთა ანგარებას, რომელნიც ესტონეთს განაგებდნენ. მატყუარა და ფლიდი მმართველი — ხროვა ყველა მოქალაქის თანასწორობაზე, თავისუფლებაზე და სამართლიანობაზე ლაპარაკობდა, ხალხი კი უუფლებობისა და თვითნებობის მუხრუჭში ჰყავდა მოქცეული. ესტონეთის სახელმწიფო ხალხისათვის საპყრობილე იყო. ხალხის მშრომელი უმეტესობა მოკლებული იყო თავის პოლიტიკურ, პროფესიულ და კულტურულ ორგანიზაციებს. თავისუფალ სიტყვას და თავისუფალ აზრს დაუნდობლად ახშობდნენ.

ესტონელი ხალხისათვის მტრული და დამღუპველი იყო ესტონეთის ძველ მთავრობათა საგარეო პოლიტიკა. მაშინ, როდესაც ესტონელი ხალხის საარსებო ინტერესები საბჭოთა კავშირთან უაღრესად მჭიდრო კავშირსა და მეგობრობას მოითხოვდნენ, მმართველი ხროვა ხალხის საზიანოდ მტრულ პოლიტიკას სწევდა სსრ კავშირის მიმართ და ესტონეთს ძალაგამოლეულ სათამაშოდ ხდიდა ევროპის იმპერიალისტთა ხელში, ესტონეთის ტერიტორიას ამზადებდა როგორც პლაცდარმს სსრ კავშირზე შესაძლო თავდასხმისათვის.

ომის პროვოკატორები, რომელნიც ხელისუფლების სათავეში იდგნენ, ვაჭრობდნენ ჩვენი ხალხის თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით და პირდაპირ საფრთხეს უქმნიდნენ ესტონეთის უშიშროებას, მშვიდობიანობას, ხელშეუხებლობასა და კეთილდღეობას. ესტონელმა ხალხმა განდევნა საზიზღარი მთავრობა და მას ესტონეთის ისტორიაში პირველად მიეცა შესაძლებლობა ჩაეტარებინა თავისი სახალხო წარმომადგენლების თავისუფალი არჩევნები.

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები, რაც 14 და 15 ივლისს ჩატარდა, მუშათა კლასის, გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის კავშირის გამარჯვების ზეიმი იყო. ჯგუფის — „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“ პლატფორმამ გააერთიანა ესტონეთის ხალხის დიდი უმრავლესობა, ჩვენი სამშობლოს ყველა პატიოსანი პატრიოტი. ჯგუფის — „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“ საარჩევნო გამარჯვება მოასწავებს ესტონეთის ცხოვრებაში მომხდარ ისტორიულ შემობრუნებას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ესტონეთის ხალხმა გამოსთქვა თავისი ნება-სურვილი სამუდამოდ მოუღოს ბოლო კაპიტალისტებისა და მსხვილ მიწათმფლობელთა პოლიტიკურ ბატონობას, საკუთარ ხელში აიღოს თავისი ქვეყნის ბედი და ნამდვილი ხალხური ხელისუფლება დაამყაროს.

ახალ სახელმწიფო სათათბიროს, როგორც ესტონეთის ხალხის ნებასურვილის ერთადერთსა და სრულუფლებიან გამომხატველს, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს ამ ხალხის მოთხოვნა და კანონმდებლობითი წესით განამტკიცოს ესტონეთის მშრომელი ხალხის გამარჯვება, მოპოებული ექსპლუატატორულ რეჟიმთან ბრძოლაში, თავის ძირითად მოვალეობად მიაჩნია გადასწყვიტოს ესტონეთის სახელმწიფო ხელისუფლების ხასიათის საკითხი. სახელმწიფო ხელისუფლების ხასიათის საკითხის გადაწყვეტის დროს ჩვენი თვალები მიპყრობილია საბჭოთა კავშირის მეგობრულ ხალხთა ისტორიული გამოცდილებისა და დიადი მაგალითისაკენ. საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება არის მშრომელთა ინტერესების ნამდვილი გამომხატველი და დამცველი, არის ნამდვილი ხალხური ხელისუფლება, რომლის დროსაც ქვეყანას თვით ხალხი განაგებს უმემამულოდ და უკაპიტალისტოდ. როგორც კაპიტალისტური ქვეყნების გამოცდილება, ისე ბურჟუაზიულ ესტონეთში ჩვენი ცხოვრების მწარე გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყოველგვარი სხვა ხელისუფლება წარმოადგენს ხალხის აშკარა მოსატყუებლად, თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგებით დაფარულ ბატონობას და უსაზღვრო თვითნებობას ხალხის დიდი უმრავლესობის მიმართ ერთ მუჭა ექსპლუატატორებისას.

სსრ კავშირში სამუდამოდ მოსპობილია დაქირავებული მონობა, მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია. თვითეულ მშრომელისათვის უზრუნველყოფილია შრომის უფლება, დასვენების უფლება, მოხუცებულობის დროს მატერიალური უზრუნველყოფის უფლება, განათლების უფლება. ადამიანისათვის ზრუნვა მთელი ცხოვრების ხელმძღვანელი საწყისია. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება არის დემოკრატიული სახელმწიფო ხელისუფლება. საბჭოების საშუალებით მთელი მშრომელი ხალხი ნამდვილად იღებს მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, თავისი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების შექმნაში. საბჭოებში ჰპოვებს თავის გამოხატულებას მუშათა და გლეხთა კავშირი, რომელმაც საბჭოთა სახელმწიფო უძლეველ ძალად გადააქცია. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება ჰქმნის პირობებს ხალხის ტალანტების გაფურჩქვნისათვის, იმის პირობებს, რომ ხალხისაგან დაწინაურებულ იქნან სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგთა ხელმძღვანელები და ორგანიზატორები. სსრ კავშირში სამუდამოდ მოსპობილია ნაციონალური ჩაგვრა და ნაციონალური უთანასწორობა. სსრ კავშირის ყველა ხალხი ერთიან შეხმატკბილებულ ოჯახს წარმოადგენს. მხოლოდ სსრ კავშირში გაიფურჩქნა უმაგალითო ძალით ყველა ხალხთა ნაციონალური კულტურა. სსრ კავშირში აღარ არიან ჩამორჩენილი ერები. საბჭოთა კავშირის მაგალითი გვიჩვენებს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია უზრუნველჰყოს ქალაქისა და სოფლის მშრომელთათვის მშვიდობიანობა, სამუშაო, პური და თავისუფლება, იხსნას ესტონეთის ხალხი ექსპლუატაციისა, გაჭირვებისა და უუფლებობისაგან. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება უზრუნველჰყოფს ჩვენს პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ აყვავებას. მხოლოდ საბჭოთა წყობილება უზრუნველჰყოფს ესტონეთის ხალხის ნამდვილ თავისუფალ ნაციონალურ განვითარებას. სახელმწიფო სათათბირო, გამოსთქვამს რა ესტონეთის თავისუფალი მშრომელი ხალხის ერთსულოვან ნება-სურვილს, საქვეყნოდ აცხადებს, რომ ესტონეთის მთელს ტერიტორიაზე დამყარებულია საბჭოთა ხელისუფლება. ესტონეთი ცხადდება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. ამიერიდან ესტონეთის სს რესპუბლიკაში მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ქალაქისა და სოფლის მშრომელთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით. სახელმწიფო სათათბირო სავსებით დარწმუნებულია, რომ ესტონეთის მთელი მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლების გარშემო დაირაზმება სახალხო საქმის, სრული გამარჯვებისათვის, ესტონეთის კეთილდღეობის, მისი მეურნეობისა და კულტურის აყვავებისათვის, ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

გაუმარჯოს ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს!

გაუმარჯოს სსრ კავშირს — მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს!“

ესტონეთის მეორე მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს გახსნა

21 ივლისის სხდომა

ტალინი, 21 ივლისი (საკდესი). სახელმწიფო სათათბიროს გახსნა დანიშნული იყო 12 საათისათვის. მაგრამ ხალხის რჩეულნი — ესტონეთის მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენელნი სათათბიროს გახსნამდე დიდი ხნით ადრე გამოცხადდნენ მთავრობის რეზიდენციაში. 12 საათისათვის სახელმწიფო სათათბიროს დარბაზის ყველა ადგილი დაკავებული აქვთ დეპუტატებს. სათათბიროს დეპუტატთა ადგილებს პირველად იკავებენ მუშათა წარმომადგენლები — ა. არბონი, ა. კიიდელმა, ნ. ტიხანოვა, გლეხთა — გ. აბელსი, ა. ინგალტი, ხ. ლუმეტი, მშრომელი ინტელიგენციისა — დოქტორი ი. ვარესი, პროფესორი გ. კრუუსი, მწერლები ი. სემპერი, მ. იურნა და სხვ.

სახელმწიფო სათათბიროს დარბაზი მორთულია წითელი დროშებით. ტრიბუნის თავზე არის მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის პორტრეტები და უზარმაზარი ტილო შემდეგი სიტყვებით: „ესტონეთი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან ერთად არის“.

12 საათსა და 35 წუთზე სახელმწიფო სათათბიროს ხსნის პეტსერიმაას საარჩევნო ოლქის უხუცესი დეპუტატი, 73 წლის ა. კ. იანსონი. იგი ხალისით ადის ტრიბუნაზე და ამბობს:

— როგორც უხუცესი დეპუტატი, მე ვხსნი მეორე მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს პირველ სხდომას **(ტაში)**.

პატივცემულო სახელმწიფო სათათბიროს წევრნო!

დადგა ესტონელი ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ისტორიული მომენტი. იმ ამომრჩეველთა თითქმის 90 პროცენტმა, რომელთაც კენჭისყრის უფლება ჰქონდათ, სხვანაირად რომ ვთქვათ, თითქმის მთელმა ხალხმა მოგცათ თქვენ ხმა. ამგვარად ესტონელი ხალხი სავსებით განდობთ თქვენ თავის ბედს, თავის მომავალს.

14 და 15 ივლისის სახალხო კენჭისყრამ დაგვანახვა, რომ ხალხის მოთმინების ფიალა აივსო. ხალხმა აშკარად დაინახა, რომ ასეთი მდგომარეობა აღარ შეიძლება გაგრძელდეს.

„ესტონელი მშრომელი ხალხის კავშირის“ პლატფორმა, რომლის საფუძველზეც ჩვენ აგვირჩიეს და აქ გამოგვგზავნეს, გვიჩვენებს, თუ რა სურს და რას მოელის მისგან ხალხი. სახალხო კენჭისყრა, რომელშიაც ამომრჩევლებმა არნახული რაოდენობით მიიღეს მონაწილეობა, მრავალი დემონსტრაცია, მიტინგები, პროფკავშირთა მძლავრი ზრდა და გაერთიანება უდავოდ ცხადჰყოფს, რომ ჩვენგან მოითხოვს მშრომელი ხალხი მტკიცედ გადავჭრათ ყველა საკითხი, რომელიც მის ცხოვრებას შეეხება; ბოლომდე გადავჭრათ სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული საკითხები და უზრუნველვყოთ ხალხისათვის პირდაპირი გზა მშვენიერი და ბედნიერ მომავლისაკენ.

ჩვენ საკუთარი თვალით შეგვიძლია დავინახოთ, თუ რა საუცხოო წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურულ დარგში საბჭოთა კავშირის ხალხებმა იმ დროიდან, რაც სახელმწიფო ძალა-უფლება მთლიანად გადავიდა მშრომელი ხალხის ხელში. ასეთი წარმატებები დღემდე არასოდეს არა ჰქონია არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანას.

სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ, სახელმწიფო სათათბიროს წევრები, მთელს ჩვენს გონებას, მთელს ჩვენს ძალღონეს მოვახმარებთ იმას, რომ განვახორციელოთ მშრომელი ხალხის იმედი და დავიმსახუროთ ის ნდობა, რომელიც მან ჩვენდამი გამოიჩინა, როდესაც აქ გამოგვგზავნა.

გაუმარჯოს თავისუფალ ესტონელ ხალხს!

გაუმარჯოს ესტონეთის და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას!

იანსონის უკანასკნელ სიტყვებს მთელი დარბაზის აღფრთოვანებული ოვაცია და „ვაშას“ შეძახილი ჰფარავს. მძლავრად გუგუნებს მშრომელთა გამარჯვების ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

საბჭოს სახელით უხუცეს დეპუტატს ე. იალაკს წინადადება შემოაქვს იმ საკითხების შესახებ, რომლებიც სათათბირომ უნდა განიხილოს. ერთხმად მიღებული იქნა შემდეგი დღის წესრიგი:

1. ესტონეთის სახელმწიფო წყობის შესახებ—მომხსენებელი ი. ლაურისტინი.
2. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ესტონეთის შესვლის შესახებ — მომხსენებელი ნ. რუუსი.
3. მიწის მთელი ხალხის საკუთრებად გამოცხადების შესახებ — მომხსენებელი ა. იოერი.
4. მსხვილი მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ —მომხსენებელი ო. სეპრე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ესტონეთის შესვლის საკითხის შეტანას დღის წესრიგში დამსწრენი შეხვდნენ მქუხარე ოვაციით, „ვაშას“ შეძახილით და ამხანაგ **სტალინისა** და საბჭოთა კავშირისადმი მისალმებით.

15-წუთიანი შესვენების შემდეგ სახელმწიფო სათათბიროს სხდომა გრძელდება. დარბაზში შემოდის ქარხანა „კრულის“, სახელმწიფო სანავსადგურო სახელოსნოს, ბალტიის ძაფსართავი ფაბრიკის, ქარხანა „ლუტერის“, „აივაცის“, „ილმარინეს“, „როტერმანის“, „ესტისიიდის“, ჩრდილოეთის ქაღალდის ფაბრიკისა და სხვ. ტალინელ მუშათა დელეგაცია.

მისალმებით გამოდის ქარხანა „კრულის“ მუშა რეინინგი.

ესტონეთში მთელი ძალაუფლება უნდა ეკუთვნოდეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს **(ხანგრძლივი ოვაცია)**. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ესტონეთი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში შევიდეს **(მქუხარე ტაში)** და რომ ხალხის რჩეულებმა — დეპუტატებმა თხოვნით მიმართონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სსრ კავშირის შემადგენლობაში მიიღოს ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, როგორც მოკავშირე რესპუბლიკა. **(ხანგრძლივი ოვაცია)**. ტალინელი მუშები მოითხოვენ მსხვილი მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაციას **(ხანგრძლივი ტაში)**. გაუმარჯოს ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

მოვითხოვთ სტალინური კონსტიტუციის შემოღებას.

გაუმარჯოს ესტონეთის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხის ბელადს ამხანაგ **სტალინს! (ხანგრძლივი ოვაცია, „ვაშას“ შეძახილი).**

ამის შემდეგ სახელმწიფო სათათბირო შეუდგა დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვას—„ესტონეთის სახელმწიფო წყობილების შესახებ“.

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება სსრ კავშირის შემადგენლობაში ესტონეთის შესვლის შესახებ. დღის წესრიგის ეს პუნქტი განხილული იქნება სათათბიროს ხვალინდელ სხდომაზე, რომელიც გაიხსნება დილის 10 საათზე.

პარტიული კრებები, მიძღვნილი ამხ. ლ. ბერიას მოხსენების—„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“—5 წლისთავისადმი

ღრმად შევისწავლოთ ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორია

გუშინ, თბილისის მთელ რიგ მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებში ჩატარდა პარტიულ ორგანიზაციათა ღია კრებები, მიძღვნილი ამხანაგ ლ. პ. ბერიას მოხსენების — „ამიერ - კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“—5 წლის თავისადმი. კრებებზე დამსწრე პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა აღფრთოვანებით აღნიშნეს ამხ. ბერიას ისტორიული მნიშვნელობის მოხსენების შესანიშნავი თარიღი და დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი ბოლშევიზმის სახელოვანი ისტორიის შესწავლის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ბელადის სახელობის ქარხანაში

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას ისტორიული მნიშვნელობის მოხსენების, — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, — 5 წლისთავთან დაკავშირებით თბილისის **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხანაში შემდგარ ღია პარტიულ კრებას დაესწრნენ ქარხნის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, დეპუტატები, ორდენოსნები, რკინიგზის წარჩინებული მუშაკები, სტახანოველები, რომლებმაც გულდასმით მოისმინეს ამხ. **ვ. გრიგორიანის** მოხსენება **ლ. პ. ბერიას** მოხსენების 5 წლისთავის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამხანაგ ბერიას ცნობილმა მოხსენებამ სამართლიანად მიიპყრო არა მარტო ამიერ - კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების, არამედ მთელი ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ყურადღება. მასში გაშუქებულია დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით ამიერ - კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გმირული ბრძოლის მართალი, ამაღელვებელი ისტორია, იგი გვასწავლის შეურიგებელ ბრძოლას პარტიისა და ხალხის მტრების წინააღმდეგ, მოგვიწოდებს რევოლუციური სიფხიზლის შემდგომი გაძლიერებისაკენ, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** გარშემო კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვისაკენ. შემდეგ ამხ. გრიგორიანი ლაპარაკობს პარტიული, სამეურნეო, სამხედრო-თავდაცვითი და საპროპაგანდო მუშაობის ამოცანებზე.

კრებაზე გამოსული ამხ. ე. გელაშვილი ლაპარაკობს ბოლშევიზმის დაუფლებაზე, მარქსიზმ - ლენინიზმის საფუძვლების შესწავლაზე. — მართალია, — ამბობს იგი, —ბევრმა ჩვენთაგანმა შეისწავლა ამხანაგ ბერიას მოხსენება და „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, მაგრამ ამაზე არ უნდა გავჩერდეთ, საჭიროა შევისწავლოთ მარქსიზმ - ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომები.

ამხ. ნ. კარეჭაშვილი, ი. სელიხოვი, გ. კაჭკაჭიშვილი და გ. ბიბილეიშვილი შეჩერდნენ იმაზე, რომ ბერიას მოხსენებამ მათ დიდი დახმარება გაუწია პარტიის ისტორიის შესწავლაში, რომ ეს მოხსენება დიდად დაეხმარა ქარხნის პარტორგანიზაციას ბოლშევიზმის დიად ტრადიციებზე ახალი კადრების აღზრდაში.

კრების მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ბელადის სახელობის ქარხნის მუშაკთა კოლექტივი, რომელშიც დიდი **სტალინი** რევოლუციის გარიჟრაჟზე პირველ მარქსისტულ წრეებს აყალიბებდა და მუშებს რაზმავდა ცარიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, კიდევ უფრო ენერგიულად იბრძოლებს საწარმოო გეგმების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, საპროპაგანდო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კლუბში შესდგა პარტიული ორგანიზაციის ღია კრება, მიძღვნილი ამხ. **ლ. პ. ბერიას** ისტორიული მოხსენების — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ — 5 წლისთავისადმი.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ამხ. **ს. კარაბინოვა.**

— 5 წლის წინათ, — ამბობს მომხსენებელი, — ქართველი ხალხის საამაყო შვილმა ამხანაგმა **ლ. ბერიამ** თბილისის პარტაქტივზე გააკეთა ისტორიული მოხსენება „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. ეს შესანიშნავი ნაშრომი უძვირფასესი განძია ბოლშევიზმის მატიანეში, იგი დაწვრილებით გვაცნობს იმას, თუ როგორ იბრძოდა ახალგაზრდა **სტალინი** ჯერ კიდევ რევოლუციის გარიჟრაჟზე.

ამხ. ლ. პ. ბერიამ თავის შესანიშნავ ნაშრომში ბოლშევიკურად გამოააშკარავა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის ფალსიფიკატორული დამახინჯებანი ცალკე პირთა მიერ და სტალინური სიცხადით გვიჩვენა მთელი რიგი პრინციპული და ისტორიული ხასიათის შეცდომები.

შემდეგ მომხსენებელმა დაწვრილებით გააცნო რა დამსწრეებს ამხ. ლ. ბერიას შესანიშნავი წიგნის ისტორიული მნიშვნელობა და ღრმა შინაარსი, თავის მოხსენების დასასრულს აღნიშნა, რომ ეს უძვირფასესი ნაშრომი — ახალი განძი ბოლშევიზმის მატიანეში, პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს უდიდეს დახმარებას უწევდა, უწევს და გაუწევს მომავალშიაც ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ისტორიის ღრმად შესწავლაში.

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: ლ. კაზაროვი, ივ. მატინოვი, ა. იუზბაშევა, ს. ურუშაძე და ე. ბაღდასაროვი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ფეხსაცმლის ფაბრიკის სერიოზული მიღწევები მტკიცედ არის დაკავშირებული ამხ. **ლ. ბერიას** სახელთან.

აღნიშნული ფაბრიკა, უდიდესი სიამაყის გრძნობით ატარებს რა საბჭოთა დაზვერვის სტალინური სახკომის ამხ. ლ. ბერიას სახელს, უფრო გაძლიერებული ენერგიით იმუშავებს საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, რათა მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია მისცეს ჩვენს ქვეყანას. ამასთან ერთად ამხანაგებმა გულმოდგინედ უნდა იმუშაონ ბოლშევიზმის ისტორიის დაუფლებისათვის, რაშიაც მათ ამხ. ლ. ბერიას შესანიშნავი ნაშრომი უდიდეს დახმარებას გაუწევს.

დასასრულ კრებამ მიიღო მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელი ამხანაგების დასახმარებლად.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიულ კომბინატში

გუშინ, ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტში“ შესდგა ღია პარტიული კრება, მიძღვნილი ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** მოხსენების—„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“—5 წლისთავისადმი. კრებას დაესწრო 200-ზე მეტი კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო მუშა-მოსამსახურე.

ამხანაგ ბერიას ზემოთაღნიშნული მოხსენების შესახებ შინაარსიანი მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. **გ. ტივაძემ**. მან ნათლად გააშუქა უდიდესი მნიშვნელობა ამხანაგ ბერიას მოხსენებისა, რომელიც შემდეგ ცალკე წიგნად გამოიცა. ამხანაგმა ლ. ბერიამ თავისი შესანიშნავი მოხსენებით გადაგვიშალა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გმირული წარსულის ბრწყინვალე ფურცლები, მეცნიერული სიღრმით და ბოლშევიკური თანმიმდევრობით გვიჩვენა ახალგაზრდა **სტალინის** უდიდესი როლი ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების შექმნისა და რევოლუციურ ბრძოლებში მათი გამობრძმედის საქმეში.

ამხანაგმა **ბერიამ** თავის მოხსენებაში დაუნდობლად გამოამჟღავნა და გაანადგურა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის ფალსიფიკატორები და ამხილა ამიერ - კავკასიის რევოლუციური მოძრაობის გაშუქების საქმეში ცალკე პირთა მიერ დაშვებული დამახინჯებანი.

ამხ. ლ. ბერიას წიგნი უძვირფასესი განძია ბოლშევიზმის მატიანეში. იგი საუკეთესო დამხმარე სახელმძღვანელოა ჩვენი ახალგაზრდა კადრების ბოლშევიზმის სახელოვან ტრადიციებზე აღზრდისათვის; იგი დაუფასებელ სამსახურს უწევს იმ ამხანაგებს, რომელნიც დამოუკიდებლად სწავლობენ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას, კერძოდ, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიას. ამავე დროს ეს წიგნი უდიდეს შემოქმედებითი სტიმულს აძლევს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთ.

ამხ. ტივაძის მოხსენების გარშემო სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ი. სტაეცკი, ი. ყურულოვი, გ. ზაქარიაშვილი, ა. აბესაძე, კ. აქბარდია, თ. კუნჭულია და ბ. აბულაძე.

დასასრულს კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც დასახულია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის უკეთ დაყენების ღონისძიებანი.

აბრეშუმ-საქსოვ ფაბრიკაში

გუშინ საღამოს შესდგა თბილისის აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკის პარტორგანიზაციის ღია კრება, მიძღვნილი ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** მოხსენების — „ამიერ - კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის—“5 წლისთავისადმი.

კრებამ აღნიშნულ საკითხზე მოისმინა ამხ. ვ. ხატიაშვილის მოხსენება, რომელმაც ილაპარაკა ამხანაგ ბერიას მოხსენების ღრმა შინაარსზე, მის უდიდეს მნიშვნელობაზე.

მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოდის ამხ. შ. სვიმონიშვილი. ის აღნიშნავს, რომ ამხანაგმა **ბერიამ** ნამდვილი დოკუმენტებით გვიჩვენა დიდი **სტალინის** რევოლუციური მოღვაწეობა ამიერ-კავკასიასა და კერძოდ საქართველოში. მოხსენებამ, რომელიც უძვირფასესი განძია ბოლშევიზმის მატიანეში, შეავსო დიდი ხარვეზები ჩვენი პარტიის ისტორიულ ლიტერატურაში.

სწორედ ამიტომაა, რომ ამ მოხსენებას უდიდესი ინტერესით სწავლობენ პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიანი მასები. ამხანაგ **ბერიას** მოხსენების მიხედვით საქართველოს მხატვრული სიტყვის ოსტატებმა, ხალხურმა მოლექსეებმა, ხელოვნების მუშაკებმა, მხატვრებმა შექმნეს მაღალხარისხოვანი სპექტაკლები, საუკეთესო პოემები, ლექსები, სიმღერები, შესანიშნავი მხატვრული ტილოები და სხვ.

შემდეგ სიტყვით გამოდის სტახანოველი მუშა ამხ. მამაჯანოვა. იგი ლაპარაკობს, თუ როგორ დაეხმარა მას ამხანაგ ბერიას მოხსენება პარტიის ისტორიის შესწავლაში. — ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია, — ამბობს ის, — განუყრელად არის დაკავშირებული ამხანაგ **სტალინის** მუშაობასთან, მის სახელთან. აღნიშნული ნაშრომი დიდად გვეხმარება ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიის შესწავლაში. მოხსენება, რომელიც ნათელს ჰფენს დიდი სტალინის მოღვაწეობას, წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს მშრომელთა მასაში.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე გოგსაძე, სანოვიჩი და კახიანი.

ამხ. ხატიაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო სათანადო დადგენილება.

საქალაქო საბჭოს პარტორგანიზაციის კრება

ამხ. **ლ. პ. ბერიას** შესანიშნავი მოხსენების—„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ — 5 წლისთავისადმი მიძღვნილ თბილისის საქალაქო საბჭოს პარტიული ორგანიზაციის ღია კრებაზე, ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. გუჯაბიძე (ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი).

მომხსენებელმა სთქვა, რომ ამხ. **ლ. ბერიას** ისტორიული მოხსენება უძვირფასესი განძია ბოლშევიზმის მატიანეში. იგი წარმოადგენს საუკეთესო იარაღს მასების ლენინურ-სტალინურ ტრადიციებზე აღზრდისათვის.

შემდეგ მომხსენებელმა ვრცლად დაახასიათა ამხანაგ სტალინის როლი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნის, მათი გამოწრთობისა და ყველა ჯურის მტრების მიმართ გადამწყვეტი ბრძოლის საქმეში.

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ: ნ. შველიძე, ნ. სოხაძე, გ. მანწკავა, თ. მექვაბიშვილი, გ. კობახიძე, ვ. მირიანაშვილი და სხვ. სულ 8 ამხანაგი, რომლებიც აღნიშნავდნენ ამხანაგ ლ. პ. ბერიას ფასდაუდებელი შრომის უდიდეს მეცნიერულ მნიშვნელობას მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების საქმეში.

ამხ. ლ. პ. ბერიას შრომის უფრო ღრმად შესწავლისათვის კრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებები.

დავეუფლოთ ბოლშევიზმს

გუშინ, საღამოს, სახკომსაბჭოს სხდომათა დარბაზში შესდგა სახკომსაბჭოს, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის, საქ. საბჭოთა კონტროლის კომისიისა და სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მთავარი სამმართველოს პარტიული ორგანიზაციების ღია პარტიული კრება, მიძღვნილი ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** მოხსენების „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ხუთი წლისთავისადმი.

ამ საკითხზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორის მოადგილე ამხ. ლ. გეგეშიძე.

სიტყვებით გამოსული ამხ. მ. მძინარიშვილი (საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი), ქ. ფხაკაძე (საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისია), ი. შელეგია (საქ. სახკომსაბჭო), ა. ჩხიკვაძე (საქ. საბჭოთა კონტროლი) და სხვ. აღნიშნავდნენ, რომ ამხანაგ **ლ. ბერიას** უძვირფასესმა წიგნმა „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ დიდი დახმარება გაუწია მათ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლის საქმეში.

კრების დასასრულს ერთხმად მიღებულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი.

166.286.000 მანეთი—19 დღეში

მესამე სტალინური ხუთწლედი მესამე წლის გამოშვების სესხზე ხელისმოწერა დამთავრდა. ორდენოსანი საქართველოს მშრომელებმა სოციალისტურ სახელმწიფოს სესხად მისცეს 166.286.000 მანეთი ანუ 39.386.000 მანეთით მეტი, ვიდრე გასულ წელს. მუშა-მოსამსახურეებს შორის სესხი გავრცელდა 136.349.000 მანეთის, ხოლო კოლმეურნეებს შორის—29.937.000 მანეთის რაოდენობით.

ჩვენი რესპუბლიკის დედა-ქალაქის მშრომელები ამ ხნის განმავლობაში სესხზე ხელისმოწერის მისაბაძ მაგალითს იძლეოდნენ. მათ სოციალისტურ სახელმწიფოს სესხად 57.064.000 მანეთი მისცეს. წარმატებით მიმდინარეობდა სესხზე ხელის მოწერა ავტონომიურ რესპუბლიკებშიც. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ხელმოწერამ შეადგინა — 14.562.000 მანეთი, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 11.569.000 მანეთი, ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 2.662.000 მანეთი.

სესხის გავრცელების მხრივ მოწინავენი არიან ჭიათურის, ზუგდიდის, ქარელის, ტყიბულის, ქუთაისის, ალბულაღის, ახალციხის, ხაშურის, ასპინძის, ბოგდანოვკის, წყალტუბოს, თბილისის (საგარეუბნო), თელავისა და სხვა რაიონები.

დიდი წარმატებით მიმდინარეობდა აგრეთვე ნაღდი ფულის შეტანა. სულ რესპუბლიკაში ნაღდად შეტანილია 7.569.000 მანეთი. აქედან კოლმეურნეებმა შეიტანეს 5.759.000 მანეთი, ხოლო მუშა-მოსამსახურეებმა—1.810.000 მანეთი.

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ავიაციის თავდასხმა ინგლისზე

ლონდონი, 20 ივლისი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ გუშინ ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან გამართულ ორ დიდ საჰაერო ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო გერმანიის 120-ზე მეტმა ყუმბარმშენმა. პირველ საჰაერო ბრძოლაში, რაც დაახლოებით შუადღისას გაიმართა, მონაწილეობას იღებდა გერმანიის 70-მდე ყუმბარმშენი, რომლებიც ცდილობდნენ იერიში მიეტანათ საბადრაგო გემებზე. მეორე ბრძოლის დროს, როდესაც გერმანიის ყუმბარმშენები ცდილობდნენ ყუმბარა დაეშინათ ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ერთი ნავსადგურისათვის, გერმანიის მხრიდან მონაწილეობას იღებდა 50-ზე მეტი თვითმფრინავი.

ნაშუადღევს ინგლისის სანაპიროზე გამოჩნდა გერმანიის 22 მოპიკირე ყუმბარმშენი, რომლებმაც იერიში მიიტანეს გემებზე. ყუმბარმშენებმა ჩამოაგდეს დიდი ნგრევითი ძალის 20 ყუმბარა. გემებს არ მოხვედრია არცერთი ყუმბარა. საზენიტო არტილერიის სროლით გერმანიის ყუმბარმშენები განდევნილ იქნენ. ერთი დაზიანებული თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა. თვითმფრინავის ეკიპაჟი დაიღუპა.

გუშინდელი დღის განმავლობაში საზენიტო არტილერიისა და ინგლისის ავიაგამანადგურებელთა მოქმედების შედეგად ინგლისის სანაპიროსთან ჩამოგდებული იქნა მტრის 11 თვითმფრინავი (ოთხი ყუმბარმშენი და 7 ავიაგამანადგურებელი), ინგლისის 5 ავიაგამანადგურებელი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 20 ივლისი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 18 ივლისს ღამით სანაპირო თავდაცვის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა საზღვაო ბაზას ემდენში, ჰარლინგემის და ვილემსოორდის ნავსადგურებს, საქონლის საწყობს გენტში. ინგლისის ყველა თვითმფრინავი უვნებლად დაბრუნდა თავის ბაზაში.

ინგლისის ყუმბარმშენებმა ყუმბარები დაყარეს საავიაციო ქარხნებსა და სახელოსნოებს ბრემენში, დიპჰოლცში, პადერბორნში, როტენბურგში, ჰანოვერისა და ბრემენის ნავთსაცავებს, ჰესენის სამხედრო ქარხნებს, საქონლის საწყობებს გამში, კასელის მახლობლად მდებარე აეროდრომებს, აგრეთვე სამარი მასალით დატვირთულ სასაქონლო მატარებლებს ბრემენის აღმოსავლეთით.

გერმანიის გაზეთები საფრანგეთის პრესის მოთხოვნების შესახებ

ბერლინი, 20 ივლისი (საკდესი). გერმანიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის პრესა უკანასკნელ დღეებში ბევრს სწერს საფრანგეთის მეტისმეტად მძიმე ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. გაზეთი „ტანი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთის სამხრეთის რაიონები, რომლებიც დაკავებული არ არის, ძალიან მჭიდროდ არის დასახლებული. არსებობს იმის საფრთხე, რომ მოსავალი დროზე არ იქნება აღებული. მილიონობით ლტოლვილი დღემდეც არ დაბრუნებულა თავის წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე და არ შესდგომია მუშაობას. ეხება რა დაკავებულ ოლქებს, საფრანგეთის გაზეთი სწერს, რომ შეუძლებელია საფრანგეთის ნაციონალური მიწა-წყლის ჩინური კედლით გაყოფა.

საფრანგეთის პრესის ასეთ განცხადებებთან დაკავშირებით, გერმანიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის დაკავებულ ოლქებსა და დაუკავებელ ტერიტორიას შორის ამ „ჩინურ კედლებს“ თვით ფრანგული გაზეთები აშენებენ. ამ გაზეთების მსგავსად,—აღნიშნავენ გაზეთები, — საფრანგეთის რადიოსადგურმა ტუნისში მტრული პოზიციაც კი დაიკავა გერმანიის მიმართ.

ბიულეტენი „დინსტ აუს დოიჩლანდი“ სწერს, რომ გაზეთი „ტანის“ მიერ გამოთქმული სხვადასხვაგვარი სურვილი გერმანიას საფრანგეთის მთავრობის აზრად მიაჩნია. გერმანია მოაგონებს, რომ იგი ვერ მიიღებს მხედველობაში საფრანგეთის სურვილს,—შემსუბუქებულ იქნას საფრანგეთის სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობა. „საფრანგეთში სურთ,—სწერს ბიულეტენი, —რომ რეზერვისტები რაც შეიძლება მალე იქნან გაშვებული მოსავლის ასაღებად; მაგრამ ამის საპასუხოდ გერმანიის მხრიდან აღნიშნავენ, რომ საფრანგეთსა და გერმანიას შორის ჯერ კიდევ არ არის დადებული ზავი. ამიტომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ გერმანიის ბანაკებიდან მალე იქნან განთავისუფლებული ფრანგი ტყვეები.

არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება აგრეთვე საფრანგეთის არაოკუპირებულ და ოკუპირებულ ოლქებს შორის უკონტროლო ეკონომიურ კავშირზე“.

„ბერლინში ხაზგასმით აღნიშნავენ,—აცხადებს დასასრულ ბიულეტენი,—რომ ომის შედეგების ლიკვიდაცია ეკისრება მხოლოდამხოლოდ საფრანგეთს და არა გერმანიას. ამიტომ გერმანია ფიქრობს, რომ საფრანგეთის ოკუპირებულ და არაოკუპირებულ ოლქებს შორის წონასწორობის აღდგენის მოთხოვნა ძალიან შორს მიდის, ვინაიდან საზავო ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ არის დადებული. საფრანგეთმა უნდა გაიგოს, რომ დროებითი ზავის შესახებ დადებულ შეთანხმებასა და საზავო ხელშეკრულებას შორის ერთგვარი მანძილი არსებობს. საფრანგეთის მხრივ ტოტალიტარული სისტემის შექმნის ცდა არ აძლევს მას რაიმე შეღავათების უფლებას“.

ჰიტლერის შეხვედრა ჩიანოსთან

რომი, 21 ივლისი (საკდესი). სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ დღეს, შუადღისას, ბერლინში მოხდა ჰიტლერის შეხვედრა ჩიანოსთან. საუბარი 1 საათსა და 15 წუთს გრძელდებოდა. მიღებას დაესწრნენ: რიბენტროპი, იტალიის ბერლინელი ელჩი ალფიერი, გერმანიის რომაელი ელჩი მაკენზენი და რაიხსკანცლერის კანცელარიის უფროსი მეისნერი. ჰიტლერთან საუბრამდე ჩიანო ეწვია გესს. ჰიტლერის მოადგილეს ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის ხაზით.

შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების სამინისტროს პასუხი „დეილი უორკერის“ შეკითხვაზე

ლონდონი, 20 ივლისი (საკდესი). „დეილი უორკერის“ სარედაქციო კოლეგიის მიერ გაზეთებისათვის დაგზავნილ განცხადებაში აღნიშნულია, რომ სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარემ ჰოლდეინმა შინაგან საქმეთა მინისტრისაგან მიიღო პასუხი შეკითხვაზე—თუ „დეილი უორკერში“ გამოქვეყნებულმა რომელმა მასალამ აიძულა შინაგან საქმეთა მინისტრი ანდერსონი გაეფრთხილებინა გაზეთი, რომ იგი იხილავს ამ გაზეთის აკრძალვის საკითხს.

შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების სამინისტროს პასუხში, რომელიც დათარიღებულია 17 ივლისით, ნათქვამია: ანდერსონს „არ შეუძლია განსაზღვრულ კონკრეტულ მასალაზე მითითებით მისცეს სარედაქციო კოლეგიას საერთო ხელმძღვანელი პრინციპები, რათა მომავალში საჭირო აღარ იყოს „დეილი უორკერის“ წინააღმდეგ ზომების მიღება სახელმწიფოს დაცვის კანონის შესაბამისად. მას შეუძლია მხოლოდ მიუთითოს, რომ ეს კანონი ითვალისწინებს იმ გაზეთების აკრძალვას, სადაც „სისტემატურად“ ათავსებენ ისეთ მასალას, რომელიც ხელს უწყობს ომის წარმატებით დამთავრებისადმი მტრული დამოკიდებულების შექმნას. ამ კანონის შესაბამისად ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობის საკითხის განხილვის დროს შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ მხედველობაში მიიღოს გაზეთში გამოქვეყნებული მასალის საერთო ტონი და მისი უარყოფითი გავლენა“.

„დეილი უორკერის“ სარედაქციო კოლეგიის განცხადებაში ნათქვამია, რომ შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების სამინისტროს წერილი გამოქვეყნდება 20 ივლისის გაზეთში და დართული იქნება შენიშვნა, რომ ანდერსონის პასუხს ბიუროკრატიული გამომწვევი ხასიათი აქვს“. „დეილი უორკერს“ არა სჭირდება „ხელმძღვანელობა“, მაგრამ მოითხოვს იმის განმარტებას, თუ გაზეთში გამოქვეყნებული რომელი მასალა არ შეეფერება სახელმწიფოს დაცვის კანონს. ასეთი განმარტება არ მიგვიღია. კანონი სრულ უფლებას ანიჭებს შინაგან საქმეთა მინისტრს, აკრძალოს ყოველი გაზეთი, რომელიც, მისი აზრით, სისტემატურად ათავსებს ისეთ მასალას, რაც ხელს უწყობს ომისადმი მტრული დამოკიდებულების შექმნას. თუ შინაგან საქმეთა მინისტრს შეუძლია გადასწყვიტოს—როდის უნდა გამოიყენოს მან თავისი რწმუნებანი, მაშინ მან აგრეთვე უნდა განაცხადოს, თუ რა მასალა აიძულებს მას მიიღოს გადაწყვეტილება აკრძალვის შესახებ. მაგრამ იგი ამაზე უარს ამბობს. იმათ, ვინც შესაძლოა სამინისტროს მსხვერპლი გახდეს, არ იციან, თუ რა დანაშაული ჩაიდინეს.

ასეთი პრაქტიკა უხეშად არღვევს ელემენტარული სამართლიანობის ყოველგვარ პრინციპს“.

რა გასაჭირი გამოიარეს ამერიკელმა „მოხალისეებმა“ ფინეთში

სტოკჰოლმი, 19 ივლისი (საკდესი). გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის“ ნიუ-იორკელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 3 ივლისს ფინეთიდან ნიუ-იორკში დაბრუნდა 100 ამერიკელი „მოხალისე“. „მოხალისენი“ სამშობლოში დაბრუნდნენ ქანცგამოლეულნი, ჩამოგლეჯილნი, მშიერნი და უფულოდ. ნიუ-იორკში მათ არცერთი კაცი არ შეხვედრია. „გმირები“, რომლებსაც რამდენიმე თვის წინათ მუსიკით აცილებდნენ, ახლა სამშობლოში დაბრუნდნენ უორდენოდ, უჯილდოოდ, მაგრამ ჩხუბისაგან დაშავებულნი. გემზე „მოხალისენი“ გაფუჭებული პროდუქტებით იკვებებოდნენ. როგორც ჩანს, ოკეანეზე მგზავრობა რაღაც არაჩვეულებრივი რამ იყო. თითო კაიუტაში, სადაც ჩვეულებრივად 14 კაცი უნდა ყოფილიყო, ამჯერად 167 კაცი იყო. „მოხალისეები“ საქონელივით მოჰყავდათ. ქარიშხლის დროს მათ არ შეეძლოთ საჭმლის მომზადება თავისთვის. პაპიროსიც კი არ გააჩნდათ. ისინი სხვა მგზავრთა პაპიროსის ნამწვებით სარგებლობდნენ. იმ გემის მემანქანემ, რომლითაც ისინი მიდიოდნენ, მათ ხულიგნები უწოდა, რომლებიც გემზე გასაჩერებელი არ არიან.

დასასრულ, კორესპონდენტი სწერს, რომ „ყველა მოხალისე როდი წავიდა იმისათვის, რომ მაღალი ხარისხი მიეღო. და თუ მათ იმედი ჰქონდათ, რომ უკან დაბრუნდებიან, როგორც გმირები, ისინი სასტიკად მოტყუვდნენ“.

შვეციის რეაქციული წრეები ფინეთ-რუსეთის ომის დროს თავიანთი „მოხალისეებით“ ამაყობდნენ, შვედელი „აქტივისტები“ ცდილობდნენ ეგრეთწოდებული მოხალისეები გმირებად გაესაღებინათ.

ნამდვილად კი შვედელი „მოხალისენი“ აღმოჩნდნენ არა გმირები, არამედ სისხლის სამართლის დამნაშავენი. მრავალი მათგანი ამჟამად დაპატიმრებულია ქურდობისა, მკვლელობისა, ჩხუბისა და დივერსიებისათვის. ეგრეთწოდებული მოხალისეებისადმი ინტერესს იჩენს უმთავრესად პოლიცია, როგორც ამას ყოველდღე იუწყებიან გაზეთები.

მუშათა უფლებების ახალი შეზღუდვა ინგლისში

ლონდონი, 20 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის შრომის სამინისტრომ შეჰქმნა ნაციონალური საარბიტრაჟო ტრიბუნალი, რომელმაც მრეწველობაში წამოჭრილი კონფლიქტები უნდა გაარჩიოს.

ტრიბუნალის საქმიანობას განსაზღვრავს მუშახელის გამოყენებისა და ნაციონალური არბიტრაჟის შესახებ ბრძანებულება, რომელიც ძალაში შედის 25 ივლისს. ამიერიდან ამ ბრძანებულების საფუძველზე მრეწველობაში წამოჭრილ კონფლიქტთა ამბავი უნდა ეცნობოს შრომის სამინისტროს, ხოლო უკანასკნელმა საკითხი ტრიბუნალს უნდა გადასცეს გადასაწყვეტად. აკრძალულია გაფიცვებისა და ლოკაუტების გამოცხადება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შრომის სამინისტრო 21 დღის განმავლობაში არ გადასცემს საკითხს ტრიბუნალს. ბრძანებულება ითვალისწინებს აგრეთვე, „მეწარმეების მიერ მუშაობის აღიარებული პირობების დაცვას“.

მოკლე ცნობები

○ ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ყრილობამ პარტიის ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარედ ხელახლა აირჩია ფარლი. მან იკისრა მხარი დაუჭიროს რუზველტს.

○ ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ინგლისის ის მცხოვრებნი, რომლებიც ხელს შეუწყობენ გერმანიის შეჭრას ინგლისში ჰაერიდან ან ზღვიდან, სიკვდილით დაისჯებიან.

○ ინგლისის ავიაციის სამინისტრომ მოუწოდებით მიმართა ყველა ამერიკელ მფრინავს და რადისტს შევიდნენ მოხალისედ ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების სამსახურში.

○ სამრეწველო საწარმოთა 20 ათასი იტალიელი მუშა მიემგზავრება გერმანიაში. აგვისტოში გერმანიაში მყოფ იტალიელ მუშათა და გლეხთა რიცხვი 76.500 კაცს მიაღწევს.

○ ლონდონის ცნობებით, აბისინიის ნეგუსი ამჟამად იმყოფება სუდანში.

სტალინირი. კოსტა ხეთაგუროვის სახელობის ქუჩა.
ფოტო ვ. გინზბურგისა.

მზადება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის

საქართველოს მხატვრები ახალ-ახალ ნაწარმოებთ ჰქმნიან

საქართველოს მხატვრები, გრაფიკოსები და მოქანდაკეები ემზადებიან, რათა ღირსეულად აღნიშნონ საყოველთაო სახალხო დღესასწაული — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავი. ისინი ახალ-ახალ ნაწარმოებებს ჰქმნიან, სადაც ასახული იქნება ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოებისათვის, სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ ორდენოსანი საქართველოს მშრომელთა ბედნიერი, სიხარულით აღსავსე ცხოვრებისათვის.

საქართველოს მშრომელები, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ ქართველი ხალხის მოღალატეებთან და უბოროტეს მტრებთან—მენშევიკებთან. ამ თემას უძღვნიან თავიანთ ტილოს მხატვრები — ს. ქობულაძე და დ. ძნელაძე; ისინი მუშაობენ ნახატზე—„მენშევიკების წინააღმდეგ აჯანყება გურიაში“; მხატვარი რ. ლორის-მელიქოვი მუშაობს ნახატზე — „ს. მ. კიროვი თბილისში 1921 წელს“.

მთელი რიგი მხატვრები ჰქმნიან ნაწარმოებებს, სადაც გვიჩვენებენ საკოლმეურნეო წყობილების აყვავებას და კოლმეურნე გლეხობის შეძლებულ ცხოვრებას. მხატვარი კ. თენიეშვილი მუშაობს ტილოზე—„კოლმეურნის ოჯახი ისვენებს“, თ. აბაკელია—„დღესასწაული კოლმეურნეობაში“, გ. ზაზიაშვილი — „ამხანაგი ვოროშილოვი და ბერია კოლმეურნეთა შორის“. გ. ნიკარაძე — „ამხანაგი ვოროშილოვი დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეთა შორის“, ა. კოროვინი — „ამხანაგი ბერია საკოლმეურნეო მინდვრებს ათვალიერებს“, ნ. დედაბრიშვილი — „მანდარინის კრეფა“, ე. შარაშენიძე — „გურიის კოლმეურნეობათა წარჩინებული ადამიანები“.

მხატვრები თავიანთი ტილოებით გვიჩვენებენ საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიულ კერებს, ფაბრიკა-ქარხნების წარჩინებულ ადამიანებს. ვ. კუშელავა მუშაობს ნახატზე — „ტყვარჩელი ჩვენს დროში“, ი. მამალაძე — „ფეროშენადნობთა ქარხნის წარჩინებული ადამიანები“, ს. კეცხოველი (გრაფიკოსი) — ნახატი „ამხანაგი ლ. ბერია კახეთის ნავთის სარეწაოებს ათვალიერებს“.

მთელი რიგი ნახატები მიძღვნილია ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქ თბილისისადმი, რომელიც რეკონსტრუირებულ იქნა ამხანაგ ლ. პ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით; ქ. ხუციშვილი მუშაობს ნახატზე — „სტალინი და ბერია კომკავშირის ხეივანში“, ე. ახვლედიანი—„ამხანაგი ბერია კალიაევის აღმართს ათვალიერებს“, პ. ალვაროვი—„ახალი თბილისი“.

მხატვარი ა. კოპალიანი ნახატში — „ძველი და ახალი სვანეთი“ გვიჩვენებს საქართველოს ერთერთი ულამაზესი კუთხის—მთიანი სვანეთის მიღწევებს.

ახალი ხევსურეთის შესახებ სურათს ხატავს მხატვარი გ. ჯორჯაძე. მისი ნამუშევრის თემაა „ახალგაზრდა ხევსურები წითელ არმიაში მიდიან“, მხატვარმა მ. თარიშვილმა თავის თემად აირჩია „ხევსურთა გაცილება წითელ არმიაში“, ხოლო ი. ბერუჩემა—„ხევსურები სტუმრად მოხევეებთან“.

ნახატზე — „ძველი და ახალი კოლხეთი“ მუშაობს შ. მამალაძე. ვ. ბურდულის ნახატის თემაა „ამხანაგი სტალინი ზემო ავჭალის ჰიდროსადგურზე 1926 წელს“, ი. შტენბერგი მუშაობს ნახატზე — „ამხანაგი ბერია ფრიადოსან სტუდენტებთან“, დ. კაკაბაძე — „მაისობა იმერეთში“, დ. მირზოევი — „ამხანაგი ვოროშილოვი ბათუმში“, დ. კვირიკაშვილი—„წითელარმიელის დაბრუნება კოლმეურნეობაში“.

რ. ამიროვი ამზადებს ქანდაკებას — „ამხანაგი სტალინი ბავშვთა შორის“, ხოლო ვ. თოფურიძე—„ამხანაგი სტალინი მუშა-დემონსტრანტებს შორის“ (საქდესი).

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის მე-17 სპარტაკიადის გახსნა

21 ივლისს, ფიზკულტურელის სრულიად-საკავშირო დღის აღსანიშნავად, თბილისში, ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე გაიხსნა ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის მე-17 საოლქო სპარტაკიადა.

20.000-მდე მაყურებელმა მოიყარა თავი ამხანაგ **სტალინის** და მის თანამებრძოლთა პორტრეტებით, დროშებით, პლაკატებით და ლოზუნგებით მორთულ სტადიონზე.

საღამოს, როცა მზე გადიხარა და ოდნავ აგრილდა, გაიხსნა მიტინგი. მიტინგი გახსნა ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის თანაშემწემ კომკავშირის ხაზით ამხ. აიზენშტადმა.

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს სახელით სპარტაკიადის მონაწილეებს და თბილისის ფიზკულტურელებს მიესალმა გარნიზონის უფროსი ამხ. პ. ბატოვი.

მიტინგმა ერთხმად მიიღო წინადადება ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობრისათვის — ამხანაგ **სტალინისათვის** მისასალმებელი დეპეშის გაგზავნის შესახებ. მისასალმებელ დეპეშის წაკითხვას სტადიონზე შეგროვილი დიდძალი ხალხი მქუხარე ოვაციებით და მისალმებათა შეძახილებით შეხვდა. ვეებერთელა სტადიონის ყოველი მხრიდან და კუთხიდან მოისმოდა: **„გაუმარჯოს დიდ სტალინს“, „გაუმარჯოს ჩვენს დიდ მეგობარს — ამხანაგ სტალინს“.**

შემდეგ სტადიონზე გაიმართა მე-17 სპარტაკიადის მონაწილეთა და „დინამოს“ სპორტსმენთა პარადი, რომელმაც ლამაზად და კარგად ჩაიარა.

საღამოს წითელი არმიის საზაფხულო ბაღში გაიმართა დიდი სახალხო სეირნობა, მიძღვნილი ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის მე-17 სპარტაკიადისა და ფიზკულტურელის სრულიად-საკავშირო დღისადმი.

ფიზკულტურულ მოედნებზე, წყლის აუზებში, მდინარე მტკვარზე

21 ივლისი — ფიზკულტურელის სრულიად-საკავშირო დღე აღნიშნულ იქნა სხვადასხვა მასობრივი სპორტული გამოსვლებით თბილისის სტადიონებზე, ფიზკულტურულ მოედნებზე, წყლის აუზებში, მდ. მტკვარზე.

ამ დღეს მცხეთაში თავი მოიყარეს ნიჩბოსნობის სპორტის წარმომადგენლებმა და წყალჯომარდებმა, დიდძალმა მაყურებლებმა. მცხეთის წყლის სპორტის სადგურზე გაიმართა შეჯიბრება ცურვასა და ნიჩბოსნობაში.

ამავე დღეს მოეწყო შეჯიბრებები ვერის პარკის წყლის აუზში, სადაც გაიმართა „პიშჩევიკისა“ და ფიზკულტურის პარკის გუნდების შეჯიბრება წყლის პოლოში.

ლისის ტბაზე გამართული იყო შეჯიბრებები „მშთ“ ნორმების ჩასაბარებლად ცურვასა და ნიჩბოსნობაში.

მასობრივი ფიზკულტურული გამოსვლები გაიმართა აგრეთვე ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკისა და თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის სტადიონებზე.

საღამოს თბილისის ბაღებსა და პარკებში შესდგა ფიზკულტურელთა მასობრივი გამოსვლები. განსაკუთრებით წარმატებით ჩატარდა ფიზკულტურელთა გამოსვლები ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

შეჯიბრებები ლენინის სახელობის სტადიონზე

21 ივლისს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა საქალაქო შეჯიბრება 150-მეტრიანი ზოლის დაბრკოლებათა გადალახვაზე, რაც შედის „მშთ“ ახალ ნორმებში.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს „პიშჩევიკის“, „ვოსხოდის“, „მედიკის“, „სპარტაკის“ და სხვა სპორტულ საზოგადოებათა გუნდებმა.

პირველი ადგილი დაიკავა „ვოსხოდის“ გუნდმა (სარეწაო საბჭოს სისტემა).

ფ. ხაბურზანიას ახალი საკავშირო რეკორდი

21 ივლისს თბილისის ველოდრომზე გაიმართა საქართველოს დედაქალაქის სპორტულ საზოგადოებათა ველოსიპედისტების შეჯიბრება.

5-კილომეტრიანი მანძილის გადარბენაში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა სპორტის ოსტატმა ველოსიპედისტმა ფ. ხაბურზანიამ, რომელმაც ეს მანძილი 5 წუთსა და 43,8 წამში გაიარა. ამგვარად, მან გადააჭარბა წინანდელ თავის საკავშირო რეკორდსაც (6 წ. 0,1 წამი) და ახალი გამარჯვებით აღნიშნა ფიზკულტურელის სრულიად-საკავშირო დღე. ველოსიპედისტთა შეჯიბრებას 400-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

ფეხბურთი

თბილისისა და ლენინგრადის ფეხბურთელთა შეხვედრა

ლენინგრადი, 21 ივლისი (ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორ.). 21 ივლისს ლენინის სახელობის სტადიონზე შესდგა გათამაშება საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ თბილისის „დინამოს“ და ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 4:3.

გუშინ თბილისის ლოკომოტივმა ლენინგრადის „დინამოსთან“ წააგო მატჩი ანგარიშით 1:2.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — „დიდი ვალსი“; **ოქტომბერი** — „ქალიშვილი ჩქარობს პაემანზე“; **დამკვრელი** (ზაფხულის) — „ზღვაში“; **დამკვრელი** (ზამთრის) — „ზეცაში“; **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „დიდი ვალსი; **კომკავშირელი** (ზამთრის) — „დიდი ვალსი; **სპარტაკი**—„კასტუს კალინოვსკი“; **ლუქსემბურგის** სახელობის — „მეგობრები“; **26 კომისრის** სახელობის (ზაფხულის) — „დიდი ვალსი“; **26 კომისრის** სახელობის (ზამთრის) — „დიდი ვალსი“; **კომინტერნი** — „იხმაურე, ქალაქო“, **ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — „კონცერტი ეკრანზე“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-18-50

საზაფხულო თეატრი
23—24 ივლისს
ბოშური რომანსებისა და ლირიკული სიმღერების შემსრულებლის
ალექსანდრა ლუკიანჩენკოს
უკანასკნელი კონცერტი

26, 27, 28 ივლისს
სამხრეთ გზის რკინიგზელთა
ცენტრალური
ჯაზის გასტროლები
მხატ. ხელმძღვ. კომპოზ. ა. ლუსტიკი

დასაწყისი საღ. 9 ს. 30 წ. სალარო ღიაა დილის 11 საათ. 2 ს. 30 წ.
საღ. 6 საათ. 10 ს. 30 წ.

ღია ესტრადა
26, 27, 28 ივლისს
ცირკი სცენაზე
მონაწილეობენ: **პეტროვ-ნერონოვი** (ტრანსფორმაცია)
ლუდმილენკო და ლებედევი (აკრობატული ეტიუდი)
2 პოპოვი (სნაიპერები)
2 გურევი (ჟონგლიორები)
2 კუპრიანოვი (გლადიატორები)
მ. ედლინი (სინათლე—ჩრდილი)
კონფერანსიე: **ანოხინი** და **გლუშენკო**

ყოველდღე ბაღში უკრავს
ჯაზ-ორკესტრი
ამდურის ხელმძღვანელობით.
სოლისტი მომღერალი **ვიჩეგჟანი**
ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის ბილეთებით
ბაღში იყიდება ლუდი.

დასაწყისი საღ. 10 საათზე.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მედდების მე-5 სკოლაში

მიღების პირობები 1940-41 სასწავლო წელს

სკოლაში მიიღებიან 15-დან 35 წლამდე ასაკის პირები (ქალები), რომელთაც დამთავრებული აქვთ შვიდწლედი (არასრული საშუალო სკოლა).

მისაღები გამოცდები იწარმოებს 21-დან 27 აგვისტომდე შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა, 2. რუსული ენა, 3. სსრკ ისტორია, 4. მათემატიკა (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია), 5. ფიზიკა, 6 გეოგრაფია.

უგამოცდოდ მიიღებიან ისინი, ვისაც დამთავრებული აქვს 10-წლედი მუშფაკი, ტექნიკუმი, აგრეთვე მე-8, 9 და 10 კლასებიდან და შვიდწლედდამთავრებული ფრიადოსნები.

განცხადებები მიიღება დირექტორის სახელზე ყოველდღე 20 აგვისტომდე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა, დილის 10—12 საათამდე და საღამოს 7 ს. 10 საათამდე. განცხადებასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნას: ა) განათლების მოწმობა (დედანი); ბ) წლოვანობის მოწმობა; გ) ჯანმრთელობის მოწმობა; დ) სამი შემოწმებული ფოტო-სურათი გადაღებული უქუდოდ.

სკოლა ამზადებს საშუალო სამედიცინო პერსონალს ორი განხრით: ა) სამედიცინო დისა და ბ) საბავშვო დაწესებულებათა სამედიცინო დის სახელწოდებით.

სწავლის ვადა ორი წელი. სწავლა საღამოს საათებში.

მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და ბინით საერთო წესით.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპექტი, 136.

სკოლის დირექცია. 1070

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მესამე საფერშლო სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1940-41 სასწ. წლისათვის. სკოლა ამზადებს ექიმის თანაშემწეებს ფერშლის წოდების მინიჭებით.

სწავლის ხანგრძლივობა სამი წელიწადი. მიღებული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიებით საერთო წესით. სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 15-დან 35 წლამდე, რომელთაც აქვთ შვიდწლედის დამთავრების მოწმობა. უგამოცდოდ ჩაირიცხებიან შვიდწლედის კურსდამთავრებული ფრიადოსნები და საშუალო სკოლის და მუშფაკების კურსდამთავრებულნი.

გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა (წერა და ზეპირი), 2. მათემატიკა (წერა, ზეპირი), 3. ფიზიკა, 4. გეოგრაფია, 5. ისტორია.

განცხადებების მიღება სწარმოებს 23 აგვისტომდე, გამოცდები იწარმოებს 25 აგვისტოდან.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. მეტრიკული მოწმობა, 3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 4. ორი ცალი ფოტოსურათი.

გამოცდებზე გამოცხადებისას წარმოდგენილი უნდა იქნეს პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

აღნიშნული სკოლის ფრიადოსნებს ეძლევათ დამთავრებისთანავე ინსტიტუტში ჩარიცხვის უფლება, დანარჩენებს კი სათანადო სტაჟის გავლის შემდეგ. რაიონებიდან ჩამოსულ მოსწავლეთა 25% უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

განცხადებები მიიღება შემდეგი მისამართით: 1. ქ. თბილისი, კონსტიტუციის ქუჩა № 4. ვენეროლოგიური და დერმატოლოგიური ინსტიტუტი, ოთახი № 7, დილის 9 საათიდან 4 საათამდე ყოველდღე.

2. საღამოს კი 7 საათიდან 9 საათამდე ჭავჭავაძის ქუჩა № 31 მე-2 სართული მეორე სკოლის შენობა.

მესამე საფერშლო სკოლის დირექტორი ექიმი ვ. ი. იაშვილი.

280

მთავარი სააფთიაქო სამმართველო

აცხადებს სამკურნალო დაწესებულებების, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების, ლაბორატორიებისა და ყველა იმ სავაჭრო ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომელთაც უფლება აქვთ ივაჭრონ არართულ და ხშირად სახმარი მედიკამენტებით, რომ მედსაქონლის, შესახვევი მასალის, მედმოწყობილობის, ქირურგიული ხელსაწყოების. სალაბორატორიო და სარეაქტივო საგნების განაცხადები 1941 წლისათვის წარდგენილ უნდა იქნას მთავარ სააფთიაქო სამმართველოს იმ სარაიონთაშორისო განყოფილებების სააფთიაქო საწყობებში და რესპუბლიკურ სპეციალიზებულ საბითუმო ბაზებში, საიდანაც ისინი მარაგდებიან არა უგვიანეს ა/წ. 1 აგვისტოსა.

წარმოდგენილი განაცხადები შედგენილი უნდა იქნეს:

1. საკავშირო ჯანსახკომის 1939 წლის 10/8 № 82 თვითეული აფთიაქის და სამკურნალო დაწესებულებისათვის გამომუშავებული დროებითი ნორმატივების საფუძველზე.

2. შემოწმებულ, დაზუსტებულ და შეთანხმებულ უნდა იქნას ჯანგანყოფილებების, სამკურნალო დაწესებულებების და მთავარი სააფთიაქო სამმართველოს სარაიონთაშორისო განყოფილებების ხელმძღვანელთა შორის და უნდა შეესაბამებოდეს რაიონის ზუსტ მოთხოვნილებას, აგრეთვე განაცხადის წარმოდგენის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას 1941 წლისათვის გარდამავალი მედსაქონლის მარაგი და საფინანსო გეგმის და საბიუჯეტო შესაძლებლობა.

3. შედგენილ უნდა იქნას ჯგუფობრივ და ალფავიტის მიხედვით და დაწესებულების უფროსის ხელმოწერით და სათანადო ბეჭდის დასმით.

განაცხადის დაზუსტების და ზემოაღნიშნული ორგანოების მიერ გამოყოფილი ფონდის შესაბამისად ბაზა-საწყობების მიერ დადებულ იქნება ხელშეკრულებები განაცხადის წარმომდგენ ორგანიზაციებთან.

1073 **მთავარი სააფთიაქო სამმართველო.**

ტრესტ „საქართველოს ჩაის“ ესაჭიროება

თბილისში სამუშაოდ **2 ინსტრუქტორი - ბუხჰალტერი**, დასავლეთ საქართველოს რაიონებში სამუშაოდ: **უფროსი ბუხჰალტრები, უფრ. ბუხჰალტრის მოადგილეები, ბუხჰალტრები და მოანგარიშეები.**

მიმართეთ: **რუსთაველის პრ. № 25, მე-2 სართული, ოთახი № 13, მთავარ ბუხჰალტერ შ. კ. ხოფერიას.**

1081

დედა ოლა, ქმარი ბესო, შვილები ცაცია, მზია, დედამთილი მაშო მწუხარებით იუწყებიან
ჟენია იორდანის-ასულ ოქრუაშვილ-ნაცვლიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/VII საღ. 8 ს. სუნევის, 18. გამოსვენება 24/VII საღ. 7 ს. კუკიის სასაფლაოზე.

ვანო და თამარ სურგულაძეები შვილით ეთერით იუწყებიან მეგობრის
მარგალიტა მახარაძე-ფეიზოღლის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ნატანებში 23/VII. 7221

ამხანაგები: კასრაძე, მაჭარაშვილი, იმნაძე, შავიშვილი, ზელოვანი, კაპანაძე, აბრამაშვილი, ჩხიკვაძე, ლორთქიფანიძე, რაზმაძე, ტაბატაძე, ბუდუგაშვილი იუწყებიან ე. ხომერიკის სიმამრის
გრიგოლ გულისაშვილის
გარდაცვალებას. 7224

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს საქ. სსრ. საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. რუხაძეს მისი მამის
ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს
გარდაცვალების გამო. 7223

მეუღლე ომერ ფეიზოღლი შვილებით, მამა დავით მახარაძე, იასონ და მარიამ ფურცელაძეები შვილებით. დები ჩიტოლია და თამარ იუწყებიან
მარგალიტა მახარაძე-ფეიზოღლის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ნატანებში 23/VII. 7222

დედა ანა, მამა ლავრენტი, ძმა გრიგოლ ცოლით ცაცათი ტოგონიძეები იუწყებიან პატარა
ვ ა ტ ო ს
გარდაცვალებას. გამოსვენება 23/VII 7 ს. სანაპიროს, 11, კუკიის სასაფლაოზე. 7226

ცოლი ბაბინე, შვილები: ლამარა, რუსიკო, ჟორა, რაია, ნოდარი, და მარო იუწყებიან
კალისტე სარიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/VII 8 ს. გამოსვენება 25/VII 6 ს. ორჯონიკიძის, 78, კუკიის სასაფლაოზე. 7230

რძალი თეკლე; შვილიშვილები: ლამარა, ქეთო მაისურაძეები; სიძე შოთა შალიკაშვილი დედით იუწყებიან
ბარბალე ალექსანდრეს-ასულ მაისურაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი და დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 24/VII 6 ს. 7235

მშობლები გიორგი, ლენა, ძმა მიშა, მამიდები მარო, ფენია, სიძეები ა. კობიძე, ა. პატარიძე იუწყებიან
იურა ბურდულის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/VII 7 ს. გამოსვენება 24/VII 5 ს. ლაგოდეხის, 10. 7231

მშობლები მარო და იროდიონ ნინიძეები, ბიძები გოგია, არჩილ და ვალიკო, დეიდა ლიზა, ბიცოლები მანია და ნუნუ სტეფანიშვილები იუწყებიან
პატარა ჯუმბერის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ასკანაში 23/VII. 7232

მშობლები იერა, გრიგოლ კაკუბერიები, ძმა ბორია, მამიდა ანეტა, ბიძები: ლევან გვათუა, ბაბილო, მიტროფანე ქანტურიები იუწყებიან
პატარა დარეჯანის
გარდაცვალებას. გამოსვენება 23/VII 6 ს. საზოგადოების, 2. 7227

წიკლაური, ჯაბუა, თარგამაძე, ჩხუბიანიშვილი, ციმაკურიძე, ჩიბურდანიძე, გიორგაძე, გორდეზიანი, ქართველიშვილი თანაუგრძნობენ ლონგინოზ ალექსანდრეს-ძეს მისი მამის
ალექსანდრე საბას-ძე რუხაძის
გარდაცვალების გამო. 7229

ვ. რაზმაძე, ი. ბალდავაძე, ქ. ჩიქოვანი, გ. მამიაშვილი, შ. შკოლნიკოვი, ს. პიკუსი, შ. გაბიძაშვილი თანაუგრძნობენ შალვა რუხაძეს მისი მამის
ალექსანდრე საბას-ძე რუხაძის
გარდაცვალების გამო. 7220

ძმა იერემია, ძმისწულები: მიხეილ, ვასო, შალვა, ბიძინა და მანანა, ბიძაშვილები სოლომონი და ლეონტი ოჯახობით იუწყებიან
გრიგოლ გულისაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 23/VII მეორე საავადმყოფოდან 6½ ს. 7217

დედა ელისა, შვილები კაკო და სულიკო, ძმა დომენტი გოგუა ცოლშვილით; და ელენე შვილებით და სიძით იუწყებიან
ნინო ჩავლეიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 24/VII 6 ს. მუხრანის, 11. 7218

დედა სოფიო, ძმები: სოლომონ, სიმონ და ბიძინა, რძალი ლენა შვილით, ძალი მარიამ შვილებით იუწყებიან
ნადია ბეჟარაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22/VII 6 ს. ს. ძველ გურჯაანში. 7219

ქმარი აპოლონი, შვილი ხუტუნა, ძმა ისკანდერი ოჯახით, სიძე ლუკა ბურჭიაშვილი ოჯახით იუწყებიან, რომ 23/VII 7 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ლამარა მოწყობილი-დარსაველიძის
პანაშვიდი. 7216

შვილი გრიშა, რძალი ვალია, შვილიშვილები: შოთა ცოლით, გივი და თენგიზ იუწყებიან
პელო გიგოს-ასულ მერკვილაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 23/VII პეტრეპავლეს სასაფლაოზე 6½ ს. 1-ლი საავადმყოფოდან. 7214

ძმა ამირან, რძალი დარია, ძმისწულები: შალიკო, დათიკო, კირილე, ერმისო, ლიდა, თინა, რძლები ლუბა და ნუცა იუწყებიან
ილია თედორაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება კამოს, 54 6 ს. 23/VII. 7215

და ცაცუ. დისწულები: მიხეილ, გოგუცა, პაშა და პაწიკო ჩიქოვანები იუწყებიან
ტარასი დავითის-ძე ურუშაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ცაგერში. 7234

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83 ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84 წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—01—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული ა—1778